

თბილისის დაკურობის წიგნი

თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და
შენიშვნებით გამოსცა ცისანა აბულაძემ

9 (C 41)

9 (47.922) (001)+90 (56)

გ 979

ოსმალთა ავტორის გურჯინადეს თხზულება „თბილისის დაპყრობის წიგნი“ შეიცავს მნიშვნელოვან ცნობებს XVIII საუკუნის I მეოთხედის ქართლის და, საერთოდ, ამიერკავკასიის ისტორიისათვის. დაწერილობითაა აღწერილი ოსმალთაგან 1724 წელს ქართლის ოკუპაცია.

ავტორი თვითმხილველია მის მიერ აღწერილი ამბებისა. ამიტომ თხზულება საუკეთესო წყაროა ამ ხანის საქართველოს და თურქეთ-ამიერკავკასიის პოლიტიკურ ურთიერთობათა ისტორიისათვის.

თურქული ტექსტი ქვეყნდება პირველად. იგი დაყვანილია ბრიტანეთის მუზეუმსა და სტამბოლის სულეიმანიეს მეჩეთში დაცული ნუსხების მიხედვით. ტექსტს ახლავს ქართული თარგმანი შესავლითა და შენიშვნებით.

გ $\frac{70202}{M 607 (03)-75}$ 108—75

© გამომცემლობა „მცნიერება“. 1975

შესავალი

გურჯინადეს „თბილისის დაპყრობის წიგნი“ **ان فتحناهم قفليس** აღწერილია ჩვენს ისტორიოგრაფიაში „ოსმალობად“ წოდებული ხანის დასაწყისი. დაწერილებითაა გადმოცემული 1723—1724 წლებში თურქთაგან ქართლის დაპყრობის ისტორია — ომი ვახტანგ VI-თან ატენსა და ცხინვალში, დიდი სისხლის ღვრა გორში, ლეკებთან ბრძოლა დიღომში; შამშადილუსა და ყაზახის ალება. ლაპარაკია იბრაჰიმ, აჰმედ, რეჯებ, ისჰაკ და მუსტაფა ფაშების ქართლში შემოსვლაზე. დახასიათებულია თრიალეთი და საბარათიანო, გუჯარეთი და ქსნის საერისთავო; მოხსენიებულია მეფე ვახტანგ VI, ბაქარი, ვახტანგის ძმა იესე, კახთა მეფე კონსტანტინე II მაჰმად ყული-ხანი, გივი ამილახორი, არაგვისა და ქსნის ერისთავები. ამრიგად, დასათავურება „თბილისის დაპყრობა“ გულისხმობს არა მხოლოდ თბილისს, არამედ თბილისის „ვილაჯეთს“, მთელ ქართლს, უფრო მეტი, წყაროში საუბარია თურქთაგან ერევნისა და განჯის ალებაზეც.

„თბილისის დაპყრობის წიგნი“ ამ ხანის ქართულ, სომხურ, რუსულ და სხვა თურქულ წყაროებთან ერთად ყურადსაღებრ ძეგლია „ოსმალობის“ დროინდელი (1723—1735 წწ.) საქართველოს ისტორიის მრავალი საკითხის გასარკვევად.

„თბილისის დაპყრობის წიგნის“ ორი ნუსხა არსებობს. ერთი დაცულია სტამბოლში, სულეიმანიეს მეჩეთში, ესად ეფენდის ბიბლიოთეკაში Es. Ef. № 2435, მეორე — ბრიტანეთის მუზეუმში Mus. Or. 7703.

ცნობები ავტორის, ხელნაწერებისა თუ ტექსტის გვარობისა და რაობის შესახებ ძალიან მცირეა და არაზუსტი. ხელნაწერებზე უთითებს ბაბინგერი¹ სულთან მურად III-ის ისტორიკოსის, **تواريخ غزوات** — **تألت سلطان مراد** -ის ავტორის საუბრისას და აღნიშნავს —

¹ Fr. Babinger, Die Geschichtsschreiber der Osmanen und ihre Werke. Leipzig. 1927. გვ. 116.

„ჩემთვის უცნობია Waqa'a Tiflis-ად სახელდებული თხზულება ესადის ბიბლიოთეკისა № 2435 და იგივე თხზულება Mus. Or. 7703 ლონდონში ბრიტანეთის მუზეუმისა, შეიცავს თუ არა ჰიჯრით 987, ე. ი. 1579 წელს, მურად III-ის მიერ თბილისის ციხის აღებას“. ფრჩხილებში მითითებულია ი. ჰამერის ატომიანი ნაშრომის Geschichte des Osmanischen Reiches, Pesti, 1829 წ. მეოთხე წიგნი, გვ. 75, სადაც, მარჯვნივ, ლაპარაკია ყარსის ციხის გამაგრებასა და თბილისის დანგრევაზე ლალა მუსტაფა ფაშას მიერ (Kars gebaut, Tiflis beleert) 1579 წელს, რასაც, ცხადია, არაფერი აქვს საერთო ჩვენს წყაროსთან. ჩანს, ბაბინგერს ამ ხელნაწერებზე ჰქონია მხოლოდ ცნობა სხვათაგან მიწოდებული, მათ შინაარსს კი არ იცნობდა და ეჭვი მხოლოდ სათაურმა აღუძრა.

თურქი მეცნიერი Agah Sirri Levend-ი² მარტოოდენ სტამბოლურ ნუსხას უთითებს— „ჰაჯი რეჯებ ფაშას მიერ 1724 წელს ირანელებთან³ წარმოებულ ბრძოლას ეხება ესადის ბიბლიოთეკის ხელნაწერი № 2435—Vakāyi-i Tiflis“, შემდეგ მოცემულია ტექსტის დასაწყისი და დასასრული. დამატებით რაიმე ცნობის დაძებნა ხელნაწერისა და მისი ავტორის შესახებ თითქმის არ მოხერხდა. ბრიტანეთის მუზეუმის თურქული ხელნაწერების კატალოგი ჩ. რიოს⁴ შემდეგ არაფერს გამოუცია. იქ კი Mus. Or. 7703 არ არის შესული.

სერიის—Verzeichnisse der in den Constantinopoler Moscheen und Bibliotheken aufbewahrten arabischen, persischen und türkischen Handschriften—მეთხუთმეტე წიგნში დაბეჭდილია ესად ეფენდის ბიბლიოთეკის კატალოგი كتابخانه اسعد افندي. აქ დასახელებულია ჩვენი ხელნაწერაც, მაგრამ უმნიშვნელო ცნობებით; მითითებულია მხოლოდ რაგითი ნომერი عامومي 2435, წიგნის სათაური كتاب اسامی تيفليس — وقایع تيفليس; წიგნის რაოდენობა جلد — 1 და ენა. ეს არის და ეს.



ტექსტზე მუშაობისას ხელთ გვექონდა როგორც ბრიტანული, ისე სტამბოლური ნუსხის ფოტოკოპირები.

² Agah Sirri Levend. Gazavat-nameler ve Mihaloğlu Ali Beyin Gazavat-namesi. Ankara. 1956, გვ. 139—140.

³ საერთოდ თურქი ისტორიკოსები საქართველოზე თავდასხმას მიჩნევენ ირანელებთან ბრძოლის ერთ მომენტად. შდრ. I. H. Uzuncarşılı, Osmanlı Tarihi, IV ტ. I ნაწილი, Istanbul, 1956.

⁴ Ch. Rieu, Catalogue of the Turkish Manuscripts in the British Museum, London, 1898.

სტამბოლური ხელნაწერი დაწერილია, როგორც ჩანს, მცირე ფორმატის 79 გვერდზე, შავი მელნით: სტრიქონთა რაოდენობა — 11; ხელი: შიქსთესებური ნასთალიკი, ახლავს კუსტოსი; ტექსტი იწყება verso-ზე, მიჰყვება უშუალოდ სათაურს.

სტამბოლურ ხელნაწერში გამოყენებულია ორი სახის „ზამირ იშარა“⁵ — და . პირველი აზის სიტყვას თავზე და ახალი წინადადების დაწყებას მიანიშნებს⁶.  კი ახლავს ا — 'თან' თანდებულებიან სიტყვებს, ამით თავიდან არის აცილებული ا 'და' მანერთებელ კავშირთან მისი აღრევა.

ბრიტანული⁷ ნუსხა დაწერილია 100 გვერდზე. ხელი: გაშლილი ნასთალიკი. მელანი აქაც შავია; სტრიქონთა რაოდენობაც 11; აქვს კუსტოსი და პაგინირებულია არაბული ციფრებით. სათაური დაწერილია recto-ზე, ტექსტისაგან განსხვავებული ხელით; გადაწერის თარიღი და გადამწერი არც ერთ ხელნაწერში არ ჩანს.

ხელნაწერები ისე ზედმიწევნით მიჰყვება ერთუროს, რომ ერთბაშად აღიქმება ერთი მეორის პირად. არის უმნიშვნელო გრაფიკული სხვაობანი. ასე მაგალითად: قوت Br || قوة S; ابتداء Br || ابتداء S; درجه Br || درجه S; مقدار Br || مقدار S; صوباشي Br || صوباشي S; دنلسه Br || دنلسه S; ساتين Br || ساتين S და ა. შ.

განსხვავებულია დასათაურება⁸. ბრიტანეთის ხელნაწერს აწერია: فتحنامه⁹ تقايس اثرخامه كورجى زاده براى والى حلب رجب پاشا

⁵ „ზამირ იშარასა“ და მისი ფუნქციების შესახებ დალესტნის არაბულენოვან ძეგლებში იხ. თ. მარგველაშვილი, ჩრდილოკავკასიური წარმოშობის არაბულენოვან ძეგლთა ენობრივი თავისებურებანი: ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, ტ. 1, თბ., 1954. გვ. 211—218.

⁶ ასეთივე ნიშანი ამავე ფუნქციით ფიქსირებულია ალაღარ-ხანის წერილებში. იხ. ნ. ყანჩაველი, ალაღარ-ხანის წერილები მ. არღუთინსკი-დოლგოროუკისადმი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, წიგნი V, თბ., 1963, გვ. 125—128.

⁷ ბრიტანული ნუსხის ფოტოპირები გადმოგვეცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკიდან. ხელნაწერის დაცულობა კარგი ჩანს, ჩვენს ხელთ კი არის შუა და ბოლონაეული ტექსტი. ვფიქრობთ, ფურცლები გაიბნა თბილისში, მიკროფილის დაბეჭდვისას. ამის შემოწმება არ მოხერხდა, მიკროფილისაც ვერ მივაგენით. ლონდონიდან მისი ხელახლა მიღება უხერხულობასა და სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, რასაც ადვილად ავარბდეთ თავი, რადგან სტამბოლიდან ჩამოტანილი მიკროფირი სრულია და კარგი.

⁸ საენობარო ლიტერატურაში გურჯიზადეს თხზულება იხსენიება Vakāyi-i Tiflis || Waqa'a Tiflis-ად 'თბილისის ამბები'.

გურჯიზადეს კალმისა, დაიწერა და შედგა ალებოს ვალის რეჯებ ფა-
შასათვის'; სტამბოლის ხელნაწერის სათაურია *اندر نفيس اصراف*
تقليد در عهدہ اصاف ثانی حضرت الحاج رجب پاشا حفظ الله تعالى
'მისი აღმატებულების, მეორე ასაფის, ჰაჯი რეჯებ ფაშას — იფარ-
ვიდეს მას მაღალი ალლაჰი — დროს თბილისში მომხდარი შესანიშ-
ნავი ამბები'.

ჩვენს პირობებში შეუძლებელია რომელიმე მათგანის ავტოგრა-
ფობაზე მსჯელობა. თუ სტამბოლურთა და ბრიტანულიც ერთმანე-
თისაგან დამოუკიდებლად არ მოდის მესამე საერთო წყაროდან, მაშინ
სტამბოლური შეიძლება მივიჩნიოთ ბრიტანულიდან გადმოწერილად
და აი, რატომ:

1. ბრიტანეთის ხელნაწერში სათაური მიწერილია ტექსტისაგან
განსხვავებული ხელით გვიან.

2. სტამბოლურში გასწორებულია ბრიტანულის შეცდომები,
ამავე დროს დაშვებულია ახალი შეცდომები: გამოტოვებულია სი-
ტყვები, ზოგჯერ შესიტყვებები. ლაფსუსები მეტწილად მაშინვეა
შესწორებული გადამწერის მიერვე (ორიოდე შემთხვევაა განსხვა-
ვებული მეღნიტა და ხელით ჩასწორებისა).

3. სტამბოლურში მთელი ამბავი დაყოფილია ქვეთავებად და
ქვესათაურები ტექსტისეული ხელითაა მიწერილი არეზე:

حال پرملال دفتر دار افندی

رفتن عالی اغا بترالی

رفتن ابراهیم اغا بترالی

شبخون کله زوریان

شهادت ابراهیم اغا

بیوک چته

محاربه و اختان

شبخون گجارت

1) დეფთერდარ ეფენდის მწუხა-
რებით აღვსილი მდგომარეობა
(გვ. 6).

2) ალი ალას გამგზავრება თრია-
ლეთს (გვ. 8).

3) იბრაჰიმ ალას გამგზავრება
თრიალეთს (გვ. 19).

4) ქელეეურების (?) ლამეულა
შეტევა (გვ. 10).

5) იბრაჰიმ ალას მოწამებრივი
სიკვდილი (გვ. 12).

6) დიდი ბრძოლა (გვ. 13).

7) ვახტანგის ბრძოლა (გვ. 14)

8) გუჯარეთზე თავდასხმა ლამით
(გვ. 18).

- محرابه روافضه در ناحیه قزاق 9) რაფიზიების ბრძოლა ყაზახის
ნაპიფეში (გვ. 19).
- انهزام روافضه در قزاق 10) რაფიზიების დამარცხება ქა-
ზახში (გვ. 21).
- انهزام محمد قولی در کارتیل 11) მაჰმად ყული[ხანის] დამარ-
ცხება ქართლში (გვ. 26).
- انهزام لزرکیان 12) ლეკების დამარცხება (გვ. 33).
- شهادت محمد اغا رحمه الله 13) მეჰმედ აღას მოწამებრივი სი-
კდილი, წყალობდეს მას ალლაჰი
(გვ. 36).

თხზულების ავტორი, როგორც ბრიტანული ხელნაწერის სათა-
ურიდან *زاده کورجی اثرخامه تقیسی* ჩანს, არის ვინმე
გურჯინადე — ქართველის ძე. ავტორი მომეტებულად ცდი-
ლობს თავწამკვდარ მაჰმადიანად წარმოჩნდეს, ამასთანავე შესანიშ-
ნავად იცნობს ქართლს; აქებს თრიალეთის საძოვრებსა და პურის
ყანებს. ჯამბაზის თოქს ადარებს საქართველოს მთებში სავალ ბი-
ლიკებს. ნებისთ თუ უნებლიეთ ხაზს უსვამს ურწმუნო ქართველე-
ბის ქედუხრელობას და თავგანწირულ ბრძოლას ოსმალთა წინააღ-
მდეგ: „ქართლის ვილაფეთში არის გუჯარეთად სახელდებული მხა-
რე, რომელიც საკრებულოა მეამბოხეებისა და ბოროტი სულეტი-
სა. მისი მოსახლეობა ქართველ მეფეთა დროსაც გამოირჩეოდა თა-
ვისი ურჩობით. ეს ტომი შორს დგას ქალაქისადმი დამორჩილე-
ბისა და დაქვემდებარებისაგან“.

„თუმცა ქართლის ვილაფეთი გარეგნულად სრულ მორჩილე-
ბაში იყო, თითქოსდა უბედურება აუცილებითო თავიდან, მაგრამ
თბილისს დაქვემდებარებული ყარაჯალკანისა და ქსნის ერისთავე-
ბი, თავიანთი საცხოვრებელი მთების მსგავსად, წევდნენ მეამბოხე
ოავებს მალლა დათვის თანავარსკვლავედამდე. იყვნენ ურჩები და
ფანატიკურად ქედუდრეკნი. განსაკუთრებით გასპარსელებული ხა-
ნები არ ჩერდებოდნენ შიიტთა სექტაში, ვერ ეგუებოდნენ ერთი
მილეთის ფარგლებში ყოფნას, აღვივებდნენ ეროვნულ ნაპერწ-
კალს, დაუმორჩილებელი, მკაცრი ბუნების დიდებულები ერთგუ-
ლების ფიცის ქვეშ სულმდაბლად ჯანყდებიან და ეშმაკობისა და
ივალთმაქცობის დაწყევლილ საქმეში შეუღარებელნი არიან“.

იცის თემურლენგისაგან ამ მხარის აოხრების სიმძიმე: „ქვე-
ყანა ისე დაქციეს და გაანადგურეს, რომ ამის შემდეგ თემურლენ-

გის შემოსევა და მისგან აწიოკება ამ მხარისათვის საოცნებოდ იქცა“.

საგანგებოდ აღწერს ოსმალთა გამარჯვება-დამარცხებისადმი მოქალაქეთა განწყობას: „ლეკების განდევნის ამბავმა როცა თბილისს ჩამოაღწია, მოსახლეობა უფრო გაახარა და გააბედნიერა, ვიდრე შაჰმად ყული-ხანის დამარცხებამ, რადგან მათგან სახლ-კარი ჰქონდათ აოხრებული და გულ-ღვიძლი დამწვარი. თბილისელთა სიხარულის, ბედნიერებისა და განცხრომის აღწერას ვინ შეძლებს?!“. „ახადია, اءا ز كورجى 'ქართველიშვილი' გამაჰმადიანებული ქართველის ძეა.

ავტორი თვითმხილველი და თანადამხედური ჩანს თხზულებაში აღწერილი ამბებისა. ერთგან ირწმუნება კიდევც, რომ „ყველაფერი ეს, რაც ასე დაწვრილებით ჩაიწერა, არის სარკე, სუფთა გამოსახულება ქვეყნის მპყრობელის, მისი უდიდებულესობისა“.

თხზულება ისეა დაწერილი, რომ მისი ერთბაშად გაგება ძნელდება. მკითხველად თითქოსდა მხოლოდ ის პირი ივარაუდება, რომლისთვისაც კარგად არის ცნობილი აღწერილი ამბები და სიტუაციები. ხშირად ჯერ შედეგია ნათქვამი და მერეა მოვლენის პროცესზე საუბარი.

მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული ფაქტები დიდი სისრულითა და უშუალობით არის გადმოცემული, თხრობაც მოკლებულაა დახანებული განცდის დახვეწილობას, ავტორი მაინც შორს არის პირუთვნელობისაგან, ქართლში მომხდარ ამბებს ოსმალთა დამპყრობის თვალთ უყურებს და რეჟებ ფაშას საამებელ ფერებში ხატავს რენეგატისათვის დამახასიათებელი გულმხურვალებით.

თხზულების წერას გურჯიზადე შედგომია მომხდარი ამბებიდან ერთი წლის შემდეგ; თარიღი მოცემულია ტექსტის ბოლოს აბჯედით: (58) ماؤاى (117) عزم (320) شهدا (22) بك (92) محمد (104) ايتدى (425) 1138 = (1725—26 წ.)

„თბილისის დაპყრობის წიგნის“ ენა ხელოვნურია და ქარბი მალაფარდოვნებით გაბუნდოვნებული. ოსმალურ წყაროში არაბულ-სპარსული სიტყვებისა და გამოთქმების სიჭარბე არავის უკვირს, მაგრამ ჩვენმა ავტორმა თავისი „სპარსოფილობით“ ყოველგვარ მოლოდინს გადააჰარბა; აქ სპარსული მხატვრული სახეების ისეთი მოზღვაგებაა, რომ შეიძლება სპარსულ ლიტერატურაში გაწაფულ მკითხველსაც კი გაუჭირდეს გარკვევა.

ლექსიკა ძირითადად არაბულ-სპარსულია. როგორც წესი, თურქულია მეშველი ზმნები, ხშირად სიტყვები სპარსულ-არაბული მორთვებებითაა წარმოდგენილი — არაბული ენის ორობითი რიცხვი, მსხვრეული მრავლობითი; სპარსული იზაფეთი, სპარსული ენის მრავლობითი რიცხვი და ა. შ. მაგრამ სპარსული და არაბული ენების კლასიკური გრამატიკის ნორმები მკაცრად არ არის დაცული. არაბულისათვის დამახასიათებელი შეთანხმება სქესში, სხვა ოსმალური ძეგლების მსგავსად, ჩვეულებრივ, აქაც დარღვეულია. مزبور قلمه, ნაცვლად مزبور قلمه-სი; سنه مزبوره-ის ნაცვლად არის سنه مزبور; «ალიფ მაკსურა» გადმოცემულია ალიფით — قر نაცივლად قرى-სი.

გარკვეული ცნებების გამოსახატავად გამოყენებულია ისეთი სპარსული ან არაბული სიტყვები და შესატყვევებები, რომლებიც უცხია ამ ხანის ოსმალური დიპლომატიკური და ისტორიული ლიტერატურისათვის. მაგ., ჯანიშინი جانشين, ნაცვლად ვაღისა والى, ნაცვლად მოსალოდნელი دفتر روز نمچه; كتخداى بوايين; ნაცვლად ყივილბაშის «ყივილბაშის» აღსანიშნავად ოსმალური باش-ის ნაცვლად სპარსული سر سرخ-მრ. سرخسران-ია მეტწილად.

როგორც უკვე ითქვა, ამბავი გადმოცემულია მხატვრულად, აღმოსავლური ლიტერატურისათვის ნიშანდობლივი შედარებებით და ჰიპერბოლებით: „თბილისი ოსმალეთზე დანიშნული, კოხტად მორთული პატარძალია“, სხვაგან კიდევ „დიდებულად გაშლილი სუფრაა“, ხოლო „მტრები მშვიერი ძალებია, მას რომ ირგვლივ შემოხვევიან“. მუქი ფერებითაა წარმოდგენილი „აეაზაკი“ და „ბოროტმზრახველი ლეკები“, ვახტანგ VI მუდამ „წყეულია“, ოსმალთა ფაშები კი „შვის სადარი ბრწყინვალეებით მოსილი, ბრძენი იუპიტერები არიან“.

* * *

გურჯინადეს მიერ აღწერილი ფაქტები დასტურდება როგორც ქართულ, ისე სომხურ, რუსულ და თურქულ ისტორიულ წყაროებსა და ლიტერატურულ ძეგლებში. მხედველობაში გვაქვს ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ცხოვრება“⁹, სეხნია ჩხეიძის

⁹ ბატონიშვილი ვახუშტი, ცხოვრება და ქმნულება მეფეთა ქართლი-

„ცხოვრება მეფეთა“¹⁰, იესე ტლაშაძის „კათალიკოზ-ბაქარიანი“¹¹, პაპუნა ორბელიანის „შეჭირვებანი ქართლისანი“¹², აღარას ვამბობთ დ. გურამიშვილის „დავითიანზე“, რომელსაც, როგორც ე. თაყაა-შვილი წერს¹³, „უფრო საზოგადო მნიშვნელობა აქვს“.

მატენადარანში, კათალიკოსის დივანის არქივში (№ 1 საქალაქ-დე), დაცულია 52 თურქული დოკუმენტი, რომელიც ეხება ოსმალ-თაგან ამიერკავკასიის ოკუპაციას 1724—1736 წლებში¹⁴.

აბრაამ ერევანცის წიგნი¹⁵ აღწერილია ომები, რომლებიც მიმდინარეობდა სომხური და, საერთოდ, ირანის გავლენის ქვეშ მყოფი ქალაქებისათვის, მას შემდეგ, რაც ავღანელები დაეუფლნენ ისპაჰანს. წიგნი შესულია ჩვენს ტექსტში აღწერილი ამბები¹⁶, განსაკუთრებით დაწვრილებით გადმოგვცემს ავტორი ერევნის ციხის აღების ისტორიას.

XVIII საუკუნის თურქი ისტორიკოსი ჩელები ზადე ისმაილ ასიმ ეფენდი, ან, როგორც ხშირად უწოდებენ, ქუჩუქ ჩელები თავის ისტორიაში¹⁷ ვრცლად აღწერს თბილისისა და გორის ციხეების

სათა: აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი სელნაწერის მიხედვით ს. ყუბნიშვილის მიერ, თბ., 1973.

¹⁰ ს ე ხ ნ ი ა ჩ ხ ე ი ძ ე, „ცხოვრება მეფეთა“, საქართველოს ცხოვრება, ოც., 1913, გვ. 37—38.

¹¹ ი ე ს ე ტ ლ ა შ ა ძ ე, „ბაქარიანი“, გამოსაცემად მოამზადა ს. ყუბანიშვილი-ნა, თბ., 1963, გვ. 25—37.

¹² ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, პაპუნა ორბელიანის უცნობი ისტორიული პოემა „შეჭირვებანი ქართლისანი“, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, 1, თბ., 1971, გვ. 235—237.

¹³ ი ე ს ე ტ ლ ა შ ა ძ ე, კათალიკოზ-ბაქარიანი, თბ., 1895, გვ. 18.

¹⁴ А. Д. Папазян. Персидские, арабские и турецкие официальные документы матенадарана XIV—XIX веков и их значение для изучения социально-экономической жизни стран Ближнего Востока, Москва, 1960, стр. 12.

¹⁵ А б р а а м Е р е в ა ნ ც ი. История войн 1721—1736 годов, Ереван, 1939.

¹⁶ საქართველოს შესახებ ცნობები დასაზუსტებელია და შესაჯერებელი სხვა წყაროების მონაცემებთან, თუნდაც ასეთი ფაქტი — მუსტაფა ფაშა 12-ათასიანი ლაშქრით წამოვიდა თბილისზე და დაიპყრო იგი 1723 წლის დეკემბერში. მუსტაფამ შეიპყრო ბაქარი, ბორკილები დაადო და მიუჩინა 6 ყარაული. მათგან ერთი ქართველი იყო. რადგან ბაქარმა სხვა ენა არ იცოდა, მასთან საუბრობდა. სწორედ ამ ქართველმა გააპარა ბაქარი თბილისიდან, ფაშამ დაადევნა მდევარი, მაგრამ უშედეგოდ, ბაქარი მოსკოვს წაიდა. А. Ереванши. История войн..., გვ. 14—15.

¹⁷ تاريخ اسماعیل عاصم افندی, სტამბოლი, 1865 წ.

ალეხას, იბრაჰიმ ფაშას ლაშქრობას განჯაში; ერევნის, ორდუბადისა და ნახჭევანის ციხეთა ალებასა და დაქცევას.

ჩელები ზადე 1722—29 წწ. სასულთნოს ეამთააღმწერელი იყო და ოფიციალურად ევალეზოდა ყველა მნიშვნელოვანი ფაქტის რეგისტრაცია¹⁸, ამიტომაც მის ისტორიაში ფიქსირებული ცნობები 1722—29 წლების საქართველოსა და ოსმალეთის ურთიერთობათა შესახებ სარწმუნოა.

„თბილისის დაპყრობის წიგნში“ გადმოცემული ისტორიული ფაქტები დასტურდება თურქულ ისტორიულ დოკუმენტებში, მათგან ერთი გამოსცა აკად. ს. ჯიქიამ¹⁹.

რამდენიმე საყურადღებო ცნობა შეგვხვდა რუსეთ-თურქეთის საქმეებშიც²⁰. ამ პერიოდის კავკასიის ისტორიიდან მოსკოვისა და ლენინგრადის არქივში დაცული მასალა სრულად არის გამოყენებული არუთუნინის²¹, აბდურახმანოვის²², სოტავოვის²³, აბრამიანის²⁴, ვოსკანიანის, დილოიანისა²⁵ და სხვათა ნაშრომებში.

„წიგნში“ აღწერილ ფაქტებს უშუალოდ ეხება ბულგარეთის არქივებში დაცული თურქული დოკუმენტები ОАК 110/22, 172/36, 172/30, 178/33, 195/14; 220/1 და სხვა, რომელთა მიკროფირი 1462 წ. ბულგარეთში სამეცნიერო მივლინებისას გადაიღო დოც. კ. მეშველიანმა²⁶.

¹⁸ Fr. Babinger, დას. წიგნი, გვ. 293—94; ნ. შენგელია, XV—XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ. 1974, გვ. 108—111.

¹⁹ ს. ჯიქია, სულთან აჰმედ III-ის ფირმანი ბაქარ ბაგრატიონს: ქართული წყაროთმცოდნეობა, III, თბ., 1971, გვ. 278—282.

²⁰ საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივის 1722 წლის საქმე, № 16; 1723 წლის საქმე № 5; 1724 წლის საქმე № 6; 1725 წლის საქმე № 6 და ა. შ.

²¹ П. Т. Арутюнян, Освободительное движение армянского народа в первой четверти XVIII века, М., 1954.

²² А. А. Абдурахманов, Азербайджан во взаимоотношениях России, Турции и Ирана, Баку, 1964.

²³ Н. А. Сотавов, Внешнеполитические отношения Дагестана со странами Востока, Махачкала, 1968.

²⁴ А. Г. Абрамян, Документы из истории совместной борьбы народов Закавказья против турецких захватчиков в первой четверти XVIII века. Историко-филологический журнал АН Арм.ССР, № 2 (25). Ереван, 1964.

²⁵ В. К. Восканян, В. А. Дилоян, Политика России в Закавказье в 20-х годах XVIII столетия, там же, стр. 249—272.

²⁶ კ. მეშველიანი, ბულგარეთის არქივებში დაცული ოსმალური დოკუმენტური წყაროები საქართველოს ისტორიის შესახებ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 127. თბ., 1968., გვ. 413—421.

ჩვენი ტექსტი შესაბამისი ქართული, სომხური, რუსული და თურქული წყაროებისაგან დიდად განსხვავებულ, არსებითი მნიშვნელობის რაიმე ახალ ცნობას თითქოს არ იძლევა, მაგრამ აქ ისე დეტალურადაა აღწერილი ოსმალთა ფაშების ყოველი ნაბიჯი ამიერკავკასიის დასაპყრობად გადადგმული, ლეკების გაუთავებელი თავდასხმები, მომხდურ მტერთან ბრძოლაში ქსნისა და არაგვის ერისთავთა ქედუხრელობა, თრიალეთისა და გუჯარეთის მცხოვრებთა თავდადება, ისე ცხოვლადაა წარმოდგენილი თრიალეთსა და ჯავახეთში, ატენში, გორსა და ცხინვალში, დიღომში, განჯასა და ყაზახში გადახდილი ბრძოლის სურათები, რომ, თუ ტექსტი სწორად გავიგეთ და მოვახერხეთ მისი სათანადოდ გადმოღება ჩვენს ენაზე, ამ ხანის ისტორიით დაინტერესებული მკვლევარი და შემოქმედი მისთვის ყურადსაღებ ბევრ ფაქტს იხილავს და ბევრისმთქმელ ნიუანსებს დაიჭერს.

* * *

სამეცნიერო კვლევის არეში „თბილისის დაპყრობის წიგნი“ მონაცემები აქამდე არ შემოსულა. როგორც თურქული ტექსტი, ისე მისი ქართული თარგმანი ქვეყნდება პირველად.

ხელნაწერები ზედმიწევნით მისდევენ ერთმანეთს. განსხვავება, ისიც იშვიათად, ცალკეულ სიტყვათა გრაფიკულ გამოსახულებაშია, ამიტომ თურქული ტექსტი გამართულია ორივე ხელნაწერის მიხედვით. განსხვავებანი ჩატანილია სქოლიოში. Brit. Mus. Or. 2703 აღვნიშნავთ Br ლიტერით, ხოლო Es. Ff № 2435-ს — S ლიტერით.

S-ის არეებზე ტექსტისეული ხელით მიწერილი ქვესათაურები ძირითად ტექსტში შევიტანეთ. მხოლოდ ტექსტის სინტაქსურმა წყობამ სამ შემთხვევაში არ მოგვცა მათი ჩართვის შესაძლებლობა, ამიტომ დავტოვეთ სქოლიოში.

რადგანაც „თბილისის დაპყრობის წიგნი“ ფიქსირებული ფაქტები ისტორიკოსის თვალთაა დანახული და აღწერილი ქუჩუქ ჩელები ზადეს ისტორიაში, ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ „ისტორიიდან“ სათანადო თავების გადმოღება და დამატების სახით ჩვენს ტექსტზე დართვა²⁷.

27 აქ არ შესულა ცნობა თბილისისა და გორის ციხეების დაპყრობაზე. იგი გამოაქვეყნა თურქოლოგმა ნ. შენგელიამ (ოსმალთა ისტორიკოსი ჩელები ზადე თბილისისა და გორის ციხეების დაპყრობის შესახებ: აღმოსავლური ფილოლოგია, ტ. III თბ., 1973, გვ. 321—330).

0 1 2 3 4 5 6 7

თბილისის დაპყრობის წიგნი, გურჯიზადეს აალმის
ქმნილება, დაიწერა და შედგა ალექსოს ვალის—რეჯებ
ფაშასათვის*

ოქროს ბრკეალებიანმა არწივმა ავღანეთის ბუდიდან უფალმა
მირმაჰმუდ შაჰმა¹ ირანის სამეფოს საბრძანებელი ისპაჰანი თავის
მძლავრ კლანჭებში მოიმწყვდია და გონდაკარგული პირშავი შაჰის
ბნელი სხეული ცოცხალთა სიიდან ამოირიცხა.

როცა ირანი ისე უმეტვალყურეოდ დარჩა, როგორც ვარდის
წალკოტი უმებაღეოდ — თბილისი, თავრიზი, ერევანი და სხვა ცი-
ხეები, წინათ მისი უდიდებულესობის, სულთანთა სულთნის — სა-
უკუნო გახადოს მაღალმა ალლაჰმა მეფობა მისი — პატივითმოსილ-
მა დიდებულმა წინაპრებმა ხელთ იგდეს და დაიპყრეს, შემდეგ, მა-
თი უდარდელობისა და გულგრილობის გამო, კვლავ სპარსეთის
ქვეყანას შეუერთდა. ახლა კეთილშობილი წინაპრების გულმოდგი-
ნება განახლდა და სურვილი გამოთქვეს, რომ ხსენებული ციხეები
კვლავ ღვთივდაცულ ქვეყანას — ოსმალეთს — შეერთებოდა.

თავად ბალის, ოსმალეთის სახელმწიფოს ვარდს, არზრუმის
ვალის, სილაჰდარს იბრაჰიმ ფაშას ხსენებულ ციხეთა აღება, დაპყ-
რობა და ბოროტმზრახველთა განადგურება და მოსპობა ებრძანა².
ხსენებული დაინიშნა ისლამის ლაშქრის სარდლად.

როცა თბილისის ციხისაკენ ფრთებგაშლილი წავიდნენ, ხსე-
ნებულ ქალაქში იჯდა ერთი სპარსელი ხანი. უსჯულო ეახტანვი³
სწორედ მის წინ მეფობდა. იგი გაიქცა და, რადგან მაჰმად ყული-ხა-
ნი სპარსეთის შაჰის მიერ გაბედნიერებული ხანი იყო, ძლევამო-
სილი ისლამის ლაშქრის თბილისისაკენ გამგზავრების ამბის გაგო-

* მისი აღმატებულების, მეორე ასათის ჰაჯი რეჯებ ფაშას — იფარავდეს მას
მაღალი ალლაჰი — დროს თბილისში მომხდარი დიდებული ამბებია.

ნებამ და ამ ცნობის სისწორის დადასტურებამ წვრილი ლურსმანივით შეაწუხა. აილო აღნიშნული ციხის კლიტე-გასაღები, ზემოხსენებულს გზაზე შეეგება და უომრად და უბრძოლველად ჩააბარა, რამეთუ თავდაცვის ძალა და ღონე არ შესწევდა⁵.

როცა აღნიშნული ქალაქი ასე იოლად იქნა ხელთჩაგდებული, ხსენებული მაჰმად ყული-ხანი, რადგანაც, როგორც ამბობენ, მოღალატე მხდალია, გულის საწადელს მყვირალა ფრაზებით გამოთქვამდა. აღვსილი იყო მუხანათობითა და ბოროტებით. არ შეუერთდა სუნიტებს⁶ და სუნიტთა მიმდევრებს და რადგანაც შესაძლებლობა არ ჰქონდა მშვიდად და მოსვენებით ეცხოვრა ვეზირის გამგებლობაში მყოფი ფადიშაჰის ისლამურ ქვეყანაში (ე. ი. ოსმალეთს დაქვემდებარებულ ქვეყანაში. — ც. ა.), ისიც გაიქცა თბილისიდან⁷.

შემდგომად ამისა, ზემოხსენებული მათი აღმატებულება სერასქერობიდან გადააყენეს⁸ და დაიხრჩო წყალობის უძირო მორევში⁹. ვეზირთაგან ღირსთა შორის ღირსეული, ჭეშმარიტი სარწმუნოების მუშთარის ნათება, სხვათა ელვარების დამაბნელებელი ბრძენი, ქვეყნის მანათობელი მზე, დიარბექირის ვალი, მათი აღმატებულება სვებედნიერი აჰმედ ფაშა¹⁰ სერასქერის უმადლესი ჩინით ხსენებულის ადგილზე დაინიშნა და ჯანიშინობა¹¹ ებოძა.

1136 წელს¹² თბილისში სიმშვიდეა.

უბრძანეს, რომ ხსენებული წლის სილამაზით მოსილ გაზაფხულზე ერევნის ციხისაკენ პირი არ ექნა. ქალაქის ყიშლალეებში იდგნენ. ამ დროს თბილისის ყოფილი ხანის, აწ ლტოლვილი ვახტანგის შვილს — შაჰნავაზს¹³, მოსაჩვენებლად რომ ეზიარა ჭეშმარიტ სარწმუნოებას და განდიდდა, ოსმალეთის სახელმწიფომ ხანობასთან ერთად საგანგებოდ უბოძა ოჯაკლიკის¹⁴ წესით თბილისი, რომელიც მამამისის სამეფოს დედაქალაქი იყო. ხსენებული კი გაიქცა, რათა გულის სიღრმეში მინელებული სჯულგანდგომილების მწველი ცეცხლი გაეჩაღებინა და კავკასიონის მთების ახლოს, საქართველოს განაპირა რაიონებში დაბინავდა.

რადგანაც ხსენებული ქალაქის სანახები და შემოგარენი აღვსილი იყო სარწმუნოების ფრთაგაშლილი მტრებით, ზემოხსენებული სერასქერი იმ ადგილისაკენ გაუდგა გზას, სადაც სამსახური ჰქონდა ნაბრძანები. თბილისის ციხე ასქერებისაგან დაიცალა.

მტერმა, რომლის შურის გუდა მუდამ სავეს იყო მზაკვრობითა და მუხანათობით, სასაპალნე საქონლის დიდი ქარავანი იგდო ხელთ. რადგან აღნიშნული ქალაქის მომხრეებს მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ შურისძიებისა, მისი უდიდებულესობის, ქვეყნის მპყრობელის

უზენაეს ნებას აღლვებდა იმაზე ფიქრი, რომ ხსენებული ღვთი-
დაცული [ქალაქის] ვეზირი ყოფილიყო მამაცი, როგორც ტევრის
ლომი, ჭეშმარიტების გზით მავალი, სიბრძნის ზღვა¹⁵, ერთგული და
პართლმორქმული, დიდებითა და ბედნიერებით დაცული. მოსა-
ლოდნელი დიდი საშიშროების თავიდან ასაცილებლად მარგალიტის
სამკაულით მორთულ ვეზირთაგან ამოირჩიეს ობოლი მარგალიტი-
სა და ბედნიერების მომტანი ვერცხლის ზარდახშის მფლობელი,
ღრმად მოაზროვნეთა და ნატიფ მსაჯულთა შორის ჭეშმარიტად მარ-
თლისა მბრკვე ბრძენი მუშთარი, კეთილისმყოფელი ბატონი ჩვენი,
აღეპოს ვალი რეჯებ ფაშა¹⁶. ხსენებული ქალაქის მუჰაფიზის¹⁷ თა-
ნამდებობით გაპატროსნების უამს კეთილი ბედი დედისაგან სდევე-
და ძეს, სიბრძნე კი აღმზრდელისაგან ჰქონდა შეთვისებული აღზრ-
დილს.

მორთულ-მოკაზმული კეკლუცის ტანის რხევით წარიმართა
გულწარმტაცი ამბები. ქართველთა ტომის ხელისუფლის მყუდრო
სასახლის დერეფნის კარი გაიღო და ყურის დაგდების მსურველ-
თათვის მომხდარი ამბის ირგვლივ დაწვრილებით სათქმელი ეს
არის: ამოირჩიეს იგი. მათი აღმატებულება, ზემოხსენებული ბა-
ტონი ჩვენი აღნიშნული წლის ჯუმად-ალ-ახირეს ბოლოს¹⁸ თეთრი
ციხნიდან ჩამოქვეითდა და სიძე ისლამზე დანიშნული პატარძ-
ლის — თბილისის — საგამგებლოდ გულში ჩაკერას, რაკი მისი დაცვა
ჰქონდა მინდობილი, მიუხედავად ათასგვარი წვალებისა, დაესწრაფა.

გაზაფხულის პირი იდგა, როცა გზას გაუდგნენ. ბოროტმა დე-
დაბერმა ცივი ხმით ილაპარაკა. მოუხშირა წვიმასა და თოვას, ამ-
რავლა ტალახი. ამინდის სიმუხთლემ მგზავრებს შავი დღე აყარა.
მათმა აღმატებულებამ სანიმუშოდ ხოტბაშესასხამი გულმოდგინე-
ბა და თავდადება გამოიჩინა. ასე იყო თუ ისე, ერთი ნაწნავის სიგრ-
ძე გზა ხსენებული წლის შუბანის ბოლოს¹⁹ დასრულდა. ბედნიე-
რებით გამორჩეული აღნიშნულ ციხეს მშვილდის გასროლის მან-
ძილზე მიუახლოვდა და ცამდე ამალდა; რადგანაც ზემოხსენებუ-
ლი წყეული ვახტანგის გაშლილი მამული დაცლილი და უკაცრიელი
იყო, იქ ინება კარვის გაშლა და დაბინავება. ხსენებულ უსჯუ-
ლოთა სახლი, წმინდა რამაზანის დასაწყისში²⁰ მაჰმადიანური ზნე-
ჩვეულებების შესრულებით, წმინდა მექის შესაშურ ადგილად გარ-
დაიქცა.

ამასობაში სვებედნიერმა სპასალარმა ხსენებული ქალაქის გა-
რე კარის²¹ სამხრეთით მდებარე ვავერანებული ადგილი ძღვეამო-

სილი ლაშქრისათვის ბედნიერ ვარსკვლავზე გაშლილი კარვებით
სეიდაბადად²² აქცია.

ორ ზემოხსენებულ მათ აღმატებულებას²³ ერთურთშორის არ-
სებულ განხეთქილებათა კრილობების მოსაშუშებლად ძლიერ ეწა-
და შეხვედრებსა და მომხიბლავ ერთსულოვნებაში უხვად ეხმარა
მშვიდობის მალამო. ერთი კვირის მანძილზე თათბირობდნენ სუფ-
თა და ღია გულით, ურთიერთგაგებით და შეთანხმებით. იყვნენ ერთ-
მზრახველნი და თავაზიანნი.

წმინდა რამაზანის მეოთხე დღეს²⁴ მისმა აღმატებულებამ, ხსე-
ნებულმა სერასქერმა²⁵ აიკრიბა ბარგი-ბარხანა და ბრძნულად გაი-
სარჯა—სწრაფად გაეშურა ერეენისაკენ, რომლის დაპყრობა ჰქონდა
ნაბრძანები.

დიდებულად მოკაშკაშე ვარსკვლავის სხივის სწორი, მახლო-
ბელთა მანათობელი და მაცისკროვნებელი, მიზეზი ნათელისა და
ზნელისა, ჩილდირის ბეგლარბეგი, მისი აღმატებულება, პატივმო-
სილი ისპაკ ფაშა²⁶ თავისი ვილაფეთის დიდებულებით და სივასის²⁷
ვილაფეთის ზუემებისა²⁸ და თიმარის²⁹ მფლობელთა მუჰაფიზი, მი-
სი აღმატებულების, ზემოხსენებული ჩვენი ბატონის თანმხლებთ
შეუერთდა და გზას გაუდგნენ.

მისი აღმატებულება სვებედნიერი ბატონი ჩვენი მუჰაფიზის
მრავალმხრივ საქმიანობაში დამოუკიდებლად მოქმედებდა. მაგრამ
სიცხის აღმა მისი მაგარი ჯანმრთელობა შეარყია და დააძაბუნა.

რამაზანის თვის ოქროს თასი ვიდრე ივსებოდა და იცლებო-
და დღე და ღამის წმინდა ღვინით, ნულლით აღვსილი სუფრის ნე-
ტარებისაგან თავი შეიკავა და არჩია მეჩეთში ლოცვად დგომა, მი-
სი მოვლა და დაცვა. წელში გაწყდა და დაიქანცა. მადლობა ალლაჰს,
რამაზანის უკანასკნელ დღეს გაიხადა ავადმყოფობის ძველი პერან-
გი და ჯანმრთელობის ოქრომკედით ნაქარგი ბრწყინვალე სამოსი
თავისი დიდი სიკეთით გაიხალა. მაშინ ზემოხსენებული მისი აღმა-
ტებულება ქვეყნის დაცვის, წესრიგში მოყვანისა და მართვა-გამ-
გებლობის საკითხების გადასაწყვეტად წინაპართა გზას დაადგა. სა-
ნახებსა და შემოგარენს შორსმჭვრეტელი თვალის გამჭრიახობით
გახედა და, როცა შეისწავლა, ბრძენის ყურებს ხსენებული ქალა-
ქის ტყიანი მთა-გორებიდან აჯანყების ქარიშხლისებური ხმა მო-
ესმა, შემზარავი ხეობებიდან შეუჩერებლივ წამოვიდა ვერაგობისა
და მუხანათობის ნიაღვარი, ჯანყი და ამბოხება ქვეყნისა. დანებე-
ბის კეთილი სურნელი არც ქალაქიდან მოდიოდა და არც ქალაქის
კედლებს მიღმა იყო გადაწყვეტილი დამორჩილების საქმე.

გარე ნაპიფეთაგან³⁰ ერთი თრიალეთად სახელწოდებული ნაპიფეა. მასზე გადიოდა ისლამის ლაშქრის შემოსასვლელი და გასასვლელი გზა. რადგანაც მათ შემოსევათა შეჩერების ძალა არ შესწევდათ, მოჩვენებით დადეს თავი მორჩილების ბალიშზე და იძულებით განერთხნენ მიწას.

კიდევ ერთი პატარა ნაპიფეა, საბარათიანოდ სახელდებული, რომელიც ყაფლანისშვილების საცხოვრებელი და ადგილსამყოფელია, ქალაქის სანახებთან ახლო მდებარეობის გამო ლაშქრის ფეხის საცვეთ ადგილად რომ არ ქცეულიყო, ამიტომ შიშველი მორჩილების სამოსი ჩაიცვეს და მონიჭებული მშვიდობისა და ნდობის ხალათში გამოწყობილებმა მოისვენეს.

ციხე-გალავნის საძირკვლის სიმტკიცე ლამაზმანების პირობასავით მერყევი იყო და ნამჭის კედლის სიმაგრე სიზმარივით შეიძლებოდა გამქრალიყო. ჯაბახანა³¹ ბოშათა კარავით იყო დაკლილი საჭურვლისა და საჭირო მარაგისაგან. სურსათ-სანოვაგეც გამოლევის პირზე იდგა.

მცველად აღრიცხული ადგილობრივი მეომრები თარაქამას³² ტომის მწყემსთაგან³³ იქნენ აყვანილი, მაგრამ ძალ-ღონე არ შესწევდათ გაჰყოლოდნენ მიწერილ ასქერებსა³⁴ და მანიჩრებს³⁵, ჩამორჩნენ და ჩავარდნენ ლტოლვილისა და ლატაკის მდგომარეობაში.

დევთერდარ ეფენდის სივლით აღვსილი ყოფა.

განსაკუთრებით აღნიშნული ქალაქის დევთერდარი³⁶ ნაღვლიანი ლამეი ხალილ ეფენდი³⁷ შევარდნის კლანჭებიდან განთავისუფლებულ, დაუძღურებულ ბელურასავით უმწეოდ გაიხლართა მოულოდნელობის ეკლნარში და გაჭირვების რიყეზე სიარულით ფეხები დაესერა.

თუ საქმე სახელმწიფო ამბრებზე მიდგება, სურსათი იყოს და ესა და ეს საყდარი ჩინებულად დაცული ამბარი იქნებაო და ფიქრობს მონასტრების ბელლებად გადაკეთებას; თუ იკითხავენ ამბავს სანოვაგის მარაგის სიდიდე-სიმტკირეზე, ამბობს, რომ ჯავახეთის ველებზე მუდამ იზრდება მწვანე ყანა და მოსავლის აღების შემდეგ შევისყიდითო.

თუ დაინტერესდებიან, რა ოდენობითაა სახელმწიფო ხაზინა-ში დასახარჯავად განკუთვნილი თანხა, ამას არზრუმელი სომეხი ვაჭრებისაგან გამოძალული ვალების დავთარი გამოავლენს და მო-თქმას დაიწყებს, ამდენის და ამდენის მევეალე ვარო.

ასქერთა მეულუფეების³⁸ დავის გამო მოსვენების სამოსი ბას-რი ფრჩხილებით დაიფლითა და სამრევლო მეჩეთთა საყულოგა-დაგლეჯილ იმამებს³⁹ დაემსგავსნენ.

თუ ადგილობრივი ასქერი მცირეოდენ შევიწროებას იგრძნობს, გაიქცევა და მანიჩრებში იცხოვრებს. ხოლო თუ რომელიმე მანიჩარი შეურაცხყოფილად იგრძნობს თავს და იტყვის, ამ საქმეს მე არ გავა-კეთებო — დავთრები ვერაფერს უშველის. შეკრავენ და ფაშის კარ-ზე მოიყვანენ. ამბობს, რომ ქალაქგარეთ უპატრონოდ დარჩა და მისი თავშესაფარია ხაზინაზე მიწერილი ბალი და ბოსტანი. ქალაქ-ში არის უბნები, შეკეთებას რომ საქიროებსო. ციხის ბურჯები თა-ვის ბინად გაუხდია. მომავალი შავ ღროებად ეხატება, ამჟამინდელ დღეებსა და ღამეებს ნადავლად მიიჩნევს. ვახშმის შემდეგ დაწვე-ბოდა, სულ ლოცულობდა და უზრუნველი ცხოვრების მოწყობას ივედრებოდა. დღიური დავთრების⁴⁰ ბოლოში ბეითია [ასეთი]:

„უფალო, როგორია ჩემი მდგომარეობა,

ათასმა ჭირმა და ვაებამ დღეც ღამედ მიქცია“.

საცოდავი წრესგადასულმა ლოთობამ დაღუპა. როგორც ყო-ფილმა მუჰასილმა⁴¹ და კეთილშობილმა სარდალმა, ასევე ახლად დანიშნულმა სპასალარმა მარტოოდენ საუბრებითა და დაპირებე-ბით მოაგვარეს საქმე. ამ მხარეში მტერს ცხვირიდანაც კი არ წამო-სდენია იმდენი სისხლი, რამდენიც პატარძლებს ქორწინების პირ-ველ ღამეს.

ხსენებული ქალაქის დაცვასა და წესრიგში მოყვანას ზეციური ძალა სჭირდებოდა. მკვდრების გაცოცხლება უფრო იოლ საქმედ მოჩანდა, ვიდრე მისი დაცვა. თავდასხმათა განახლების გამო, გა-მოსავლის პოვნა და მართვა-გამგებლობა რთული და ძნელი საქმე იყო. აღნიშნული ციხე თვითონ მეტყველებდა თავის მდგომარეობა-ზე ლექსად:

„მე ის ფუძემერყეული ციხე ვარ, რომელსაც შეკეთება უფ-რო დამანგრევეს.

ჩემი ბედის წიგნში არ წერია სიცოცხლე და კეთილდღეობა“.

და ქალაქიც ლექსის შინაარსს ადასტურებდა.

მისმა აღმატებულებამ, ზემოხსენებულმა მუჰაფიზმა, მძლე

აღლაპის იმედით, მოაწესრიგა საჭირო და აუცილებელი საქმენი. კეთილინება დაეწყო გამგებლობა და დიდი მონდომებით და გულისხურით შეუდგა დაცვისა და მართვის საქმეს.

ალი ალას გამგზავრება თრიალეთს

ზემოხსენებული თრიალეთის ნაპიჯეს მცხოვრებნი მოვიდნენ და მოიტანეს თავიანთი სოფლის საჩუქარი. მათთვის დამახასიათებელი მლიქვნელებით, პირფერობითა და მოჩვენებითი მორჩილებით წარმოდგნენ. მათზე გადასახადის სახით დაკისრებული მოსავალი და გამოსაღები შეკრიბეს და შეაგროვეს და მოსახლეობაზე ყარიბთა ძალმომრეობა თავიდან რომ აეცდინათ, ზემოხსენებულს შესჩივლეს, რომ მის მიერ დანიშნული სუბაში⁴² ავიწროებთ და დახმარება სთხოვეს.

ყოველმხრივ შემკულ ადათაგან იყო მუთესელიმი⁴³ ალი ალა⁴⁴, რომელმაც გამოამყლავნა სრული ცოდნა იერიშისა და უკან დახვევისა, იყო მამაცი და სამართლიანი, იცავდა მმართველობის წესებს, ამიტომაც ზემოხსენებული მხარის სუბაშიდ იგი დანიშნეს და განაწესეს. როცა აღნიშნული სუბაში გაიგზავნა, განგების ტილოთა მხატვარმა მისი ბედის წიგნის უნვანში⁴⁵ ლამაზად ჩაწერა ხობტაშესასხამი სამართლიანობა და სიმკაცრე. ამასობაში დიდ დროს არ გაუვლია, რომ მასზე ჩივილი გამრავლდა. იგი გადააყენეს და მის ნაცვლად მუთესელიმად დანიშნეს სახელმწიფო სკოლიდან გამოსული⁴⁶ მეკარეთა ქეთხუდა⁴⁷ განსწავლული იბრაჰიმ ალა.

იბრაჰიმ ალას გამგზავრება თრიალეთს

აქა-იქ, ქალაქის სანახებში შეთქმულების გამომყლავნება უტყუარი ნიშანი იყო იმისა, რომ ზემოხსენებულს გააუბედურებდნენ და გაამწარებდნენ. ხსენებულმა შორსმჭკრეტელმა ედიბმა⁴⁸ აღნიშნული მოვალეობის ასრულებას ჯერ თავი მოარიდა, ნახა რამდენიმე სრულყოფილად დაწერილი წიგნი. თავისი დიდი გულმოდგინების წყალობით სირცხვილი არ ჭამა, მდგომარეობის სირთულე არც კი გამომ-

ჟღავნებულა. მოწამებრივი სიკვდილის ხალათი მოამზადა და ამაყა კისერი ბედისწერის ხმლის წინ დადო. საგანგებოდ მომზადებული იმ ადგილისაკენ გაუდგა გზას, სადაც დანიშნეს.

რადგანაც ხსენებული მხარის თავკაცებს ყველგან არ ჰქონდათ განსაზღვრული საცხოვრებელი სახლი, ამიტომ ამ სიძნელის გადაჭრა მუხთარმა იკისრა. ერთი სოფლის გლეხებში მოაგვარა საქონლის საქმე. გაიჩინეს მყუდრო საცხოვრებელი ადგილი. ამასობაში გაზაფხული მოვიდა და ამირახორმა კიდევ უფრო გაამრავლა საკიდარი საქონლისა და ცხენების რიცხვი. რადგან ბევრი იყო ბალახი და საქონლის საძოვრებზე გარეკვის დრო იდგა, ზემოხსენებულმა ცხენები უყურადღებოდ დატოვა, მიუშვა თავისუფლად, სახედრები და [სხვა] პირუტყვი საკმაოდ შორეულ ადგილს გარეკა, რომ მწვანე ჭეჭილით დამტკბარიყვნენ. თვითონ კი ფეხმოტეხილებივით ისხდნენ სოფლელთა ჰერქვეშ და უბედურებასთან შესაყრელად მზად იყვნენ.

რადგან -თა შებენა ლაით

ხსენებული ქალაქის (თბილისის—ც. ა.) უკიდურეს სამხრეთ საზღვარზე მცხოვრები ყაზახები⁴⁹ და სხვა მათი მსგავსნი سنوთ-ის მიმბადველნი ყოფილან. წმინდა რამაზანის ოცდახუთს⁵⁰ იმ მიდამოებიდან რამდენიმე გამოცდილი მოხუცი მოვიდა და ზემოხსენებულ მუჰაფიზს შეატყობინა, რომ დიდი ხნის წინათ რუმის ტომთაგან ერთი უგუნური ტომი — სახელად رزاک — გამოქცეულა და მოსულა. თბილისის შორეულ მიჯნებზე, შიიტების⁵¹ მოსაზღვრე მენბოხე რაიონებში დამკვიდრებულან და დაფუძნებულან. ახლა ქალაქში ამტყდარი არეულობით სარგებლობენ და ღირსებისა და სამართლიანობის საზღვრების დარღვევასაც ბედავენ. ჰეშმარიტების გზაზე მავალ ყარბთათვის ზიანის მომტანი და ჰეშმარიტ ისლამსა და შიიტებს შორის მერყევი ამ ტომს ეკუთვნიანო.

ხსენებულთა მიმართ წარმოდგენილი საჩივრის გამო, აუცილებელი გახდა მათი დასჯა. დამბეზღებელთა მზადყოფნა კი სარწმუნოების მტრების წინააღმდეგ მოიწონეს. აჯანყებაში მათი ერთგულება⁵² უკვე გამოცადეს.

სწორუბოვარი ქეთხუდა⁵⁸, მხოლოდ სიბრძნის ქუჩაზე რომ დაბრძანდება და ტყეში გაზრდილი ხვადი ლომის სიმამაცით გამოირჩევა, იქ გაგზავნილ ძღვევამოსილ ლაშქარს ისლამის იმედად წაუშლვა წინ და უხელმძღვანელა. სარწმუნოებისათვის მებრძოლები გამარჯვების აღმებით მოირთვნენ და მოვიდნენ. მოსვლისთანავე მოსპეს აქ მყოფი არარაობები და აჯანყებულთა მღვიმეებამდე და ხეობებამდე ამაღლდნენ და უბედურების მომტანი მთებიდან გაყარეს. სულმდაბალი ხალხი დაიფანტა და დაიქსაქსა. ქალები და ბავშვები დაატყვევეს და დაიმონეს, მათმა ტოლებმა, გარდა გარეწრებისა, რომელთაც გაქცევით ჯოჯოხეთი აირჩიეს, მორჩილების საბელი შეიბეს კისერზე და უსიტყვოდ დანებდნენ; მოიპოვეს სიმშვიდე და უშიშროება. ძველთაგანვე მორჩილებაში მყოფ ტომს შეუერთდნენ და უბედურება აიცილნეს თავიდან. ასე დასრულდა მათი კეთილი საქმე. ისლამის ლაშქარი მშვიდობით დაბრუნდა უკან. რაც აქ ჩაიწერა, ეს არის სარკე, სუფთა გამოსახულება მისი აღმატებულების, ქვეყნის მპყრობელის სახისა.

ქალაქი თბილისი ისე იყო გარშემორტყმული სარწმუნოების მტრებით, როგორც კობტად გაშლილი სუფრა მშვიერი ძალებით. უეჭველია, დაპყრობის ხელს დაიგრძელებდნენ და თავს დაესხმებოდნენ. ამიტომ უმჯობესი იყო მანამ ელონათ რაიმე, ვიდრე გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ. ასეთ ვითარებაში ვეზირებს, რომელთაც ხსენებული ქალაქის დაცვა ჰქონდათ დაკისრებული, შამხნარის ლომის ძალა და ღონე სჭირდებოდათ. კეთილინებებს და ვეზირთა შორის ამოირჩიეს მისი აღმატებულება, ზემოხსენებული ბატონი ჩენი და დანიშნეს. განზრახვა, რომლის ასრულების მხოლოდ გონებაში წარმოდგენა თუ შეიძლებოდა, რეალურად განხორციელდა და დადასტურდა. მტრები — ბოროტმზრახველი მორიელები — რა მდგომარეობააო — ჩაუსაფრდნენ, ავაზაკობისათვის ხელსაყრელი დრო იპოვეს, მზაკვრობის მახე დააგეს, გზა შეკრეს და გაუვალი გახადეს. ისლამის ლაშქრის თბილისიდან წასვლა მათი მდგომარეობის გამოსწორებისა და გაძლიერების მიზეზი გახდა, აქა-იქ მწყობრად გამოაჩინეს კბილები. ქეშმარიტ გზაზე მავალთა და დიდებულთა შორის შფოთვამ დაისადგურა და არეუ-და-რევამ იჩინა თავი.

ხსენებული ქალაქის ჩრდილოეთით, ქართლის ვილაჯეთში არის გუჯარეთად⁵⁴ სახელდებული მხარე, რომელიც საკრებულოა მეამბოხეებისა და ბოროტი სულელებისა. მისი მოსახლეობა ქართველ მეფეთა დროსაც გამოირჩეოდა თავისი ურჩობით. ეს ტომი შორს დგას ქალაქისადმი დამორჩილებისა და დაქვემდებარებისაგან. მმართველობის სადავე, ადრე რომ სარწმუნოების შეილების ხელში იყო, ჩამოართვეს, გაუბედურებული ფეხები ბორკილებისგან გაითავისუფლეს და თავხედი ბუნებით ნაკარნახევი საძრახი საქციელის ჩადენა იწყეს.

ამასობაში, როგორც უკვე ითქვა, ლტოლვილის, წყეული ვახტანგის შეიღმა შაჰნავაზმა, ხსენებულთა სადგომს — მთებსა და გორებს — შეაფარა თავი. რადგან აღნიშნული თრიალეთის ნაჰიფე იქვე მეზობლად მდებარეობდა, ამიტომ უბედურება იქ დატრიალდა.

თრიალეთში მმართველად ადრე განწესებული ხსენებული იბრაჰიმ ალა შაჰნავაზის ცდუნებით ტყვეობის ჭაში ჩაადგეს და ბორკილები დაადეს. მამამისის, წყეული ვახტანგისთვის რომ მიეგვარათ საჩუქრად, ორი წყეული ნაზირი არტაშირი და ფოსკორი და რამდენიმე ურწმუნო თავს დაესხა და წინ წაიგდეს.

თრიალეთის კუთხის იმ სოფელში მივიდნენ, სადაც ზემოხსენებული ედიბი იმყოფებოდა. იგი კარგ სიზმრებს ხედავდა და მშვიდ და უზრუნველ ძილს ჰქონდა თავი მიცემული. საკიდარი და გამწევი საქონელი საძოვრებზე იყო გარეკილი, როცა მოულოდნელად დაესხნენ თავს. ზემოხსენებულს მათ უკუსაგდებად თადარიგი არ დაუჭერია, რამდენიმე ქვეითით შებრძოლება და წინააღმდეგობის გაწევა ან კი რა შედეგს გამოიღებდა! მისი აღმატებულების მაღალი მოწამებრივი სიკვდილით გაბედნიერების ამბავი დღესასწაულის შემდეგ მოვიდა, „ქეშმარიტად ვეკუთვნით ალლაჰს და მოვიქცევით მისკენ“.

დიდი ბრძოლა

ყოფილი ხანი, ხსენებული ვახტანგი აქამდე იმყოფებოდა კავკასიონის მთების კალთებზე მდებარე, თბილისს დაქვემდებარებულ

ცხინვალის სახელით ცნობილ მხარეში. ქართველთა ვრცელ სანადირო ადგილებში, ვითომდა უკვე დამორჩილებული რომ იყო, შეუწყვეტლივ იგზავნებოდა ქორი, მიმინო და შევარდენი, რითაც ცხადყოფდნენ, რომ ხსენებულის აზრი და გონება ნადირობასა, შიშსა და სასოებას შორის ტრიალებდა. საჭიროებისდა შესაფერისად იყო მორჩილი და ითხოვდა შეწყნარებას. მაგრამ აღმოჩნდა, რომ შეთქმულება, რომელიც აქა-იქ გამოძედა, ამ წყეულის წაქეზებით მოხდა. თქვეს — თვალთმაქცური შეთანხმებით მეგობრობისა და მორჩილების დიდ გზაზე დგომა, რომელზედაც ახლახან ვილაპარაკეთ, სინამდვილეში უკვე შეიცვალაო. მაგრამ მისი ნამუსის ფარდის ახდა ერთბაშად არ დაუწყიათ. ჯერ ახლო-მახლო სანახებში მცხოვრებ მეზობლებს დაესხნენ თავს, რითაც ჩინებულად დაანახეს მოსალოდნელი საფრთხე და საშიშროება.

ხსენებული ქალაქის ჩრდილოეთით, 3 საათის სავალ გზაზე, გორხანად⁵⁵ წოდებულ ერთ ადგილს ტაძარია, რომელთანაც ძღვეამოსილ ლაშქარს, ისლამის ბურჯს არ გაუვლია. აღნიშნული ჩრდილო მხარე საქართველოს დედაბოძია, იგი ქართლად იწოდება და მემბოხეებით დასახლებული ადგილია.

ხსენებული ტაძრის ზევით, 10 საათის სავალ გზაზე, მტკვრის ნაპირას ციხე დგას, სახელად გორი; მისი ქონგურის სიმაღლესა და სიმტკიცეს მარტოოდენ ქამანდის მსროლელთა შეერთებული ფანტაზია თუ შესწვდება. აღნიშნული ციხის ზევით კი, 6 საათის სავალ გზაზე, მდებარეობს დიდი სოფელი, რომელიც ხსენებული ვახტანგის სამფლობელოში შედიოდა და მის გამგებლობაში იყო.

ღამით თავდასასხმელად სახელოვანი დროშის ჩრდილქვეშ დარაზმულ ორიათასამდე ასქერს მხედართმთავრებად სილაპდრები დაუნიშნეს და განუწყესეს. ზემოხსენებულიც მოვიდა. მუსლიმი გმირებითურთ მობრძანდა და გზად ის ადგილები გაიარა, სადაც ისლამს ფეხი არ დაუდგამს აქამდე. ხსენებული სოფელი დაარბია, ნადავლი აიღო და მთელი მოსახლეობა დაატყვევა. ალაფითა და ნადავლით კისრამდე აივსნენ. თავიანთ სიცოცხლეში ძაღლის ლეკვის პატრონი რომ არ ყოფილან, ქართველ ტყვეთა მთელ ჯარს ეღირსნენ, ნადავლით დაიტვირთნენ და გამდიდრებულნი გაბრუნდნენ უკან.

თუმც ხსენებული სოფელი ვახტანგის უკვე მოხსენიებული შეი-
ლის, შაჰნავაზის სალადობო ადგილი იყო, მაგრამ იქ მომხდარი ამ-
ბის შესახებ არაფერი იცოდა. ისევ დროსტარების თესლის თესვა-
ში იყო გართული, რომ მოწინავე ლაშქრის გამოჩენამ ლხენის ფი-
ალას დარბევის შიშის საწამლავი შეურია. ერთი საათით ადრე, ვიდ-
რე ასქერთა რაზმი დაესხმოდა, გაქცევით უშველა თავს. მივიდა, მომ-
ხდარი საშინელების შესახებ მამამისს ვახტანგ ხანს სიტყვა გადაუ-
კრა. ვახტანგმა კი ზემოხსენებულ მუჰათფიზს მის თანმხლებ მემამბონე
ქართველთა გასაკიცხი და სალანძღავი თავდასხმის თაობაზე არზა და-
უწერა და გაუგზავნა. წერილის შინაარსი ამცნობდა, რომ სოფელი
ლამით მოულოდნელი თავდასხმის შემდეგ გულსაკლავად ჩაშვებულ
და სისხლით აღვსილ ადგილად იქცა. მოქარბებული მრავალსიტყვაო-
ბით იყო თქმული ქედუხრელობასა და ამტანიანობაზე. შინაარსმა
ცხადყო, რომ მათი იმედის წვრილი ძაფი წერილის სტრიქონთა ხმალ-
მა გაწყვიტა.

საქართველოში ხსენებულის კეთილდღეობას, ამ დღიდან მოყო-
ლებული, ნიადაგი შეერყა. ყოველ შემთხვევაში, სავსებით გაირკვა,
რომ შეუძლებელია წესრიგის დამყარება, ვიდრე იგი ამ ქვეყნიდან
არ აღიგვება.

მისი აღმატებულება მუჰათფიზის გამგებლობაში მყოფი ძღვევა-
ბოსილი ლაშქრიდან 3000 გამოცდილი და გულოვანი ვაჟაკი კვლავ
დაირაზმა, მათ სპასალარად დანიშნეს კეთილმოაზროვნე ქეთხუდა.
როცა აღნიშნულის სამფლობელოში განაწესეს, მისმა აღმატებულე-
ბამ, ზემოხსენებულმა ბატონმაც ისლამის ლაშქარი, უბედურება რომ
ელვის სისწრაფით დაჰქონდა, წამოიყვანა და გორის ციხესთან მივი-
და. აქედან კი საიმედო წინამძღოლად გაიხადა მეთაურები, რომლე-
ბიც ბრძოლის ველზე გამარჯვების ყოლაუზები იყვნენ, ნაბრძანები
მიმართულებით გასწიეს და დანიშნულ ადგილს მიუახლოვდნენ. იმ
წყეულმაც გაიგონა, რომ მამაცი ლაშქარი მისკენ გაემგზავრა. „როცა
სიმართლე გამოჩნდება, ტყუილი მაშინვე ქრება“. აუცილებლობის
კარნახით საქმე გაქცევით დასრულდა. წავიდნენ. განთიადისას, დღი-
სა და ღამის გაყრის ეამს, ბრძოლის ნადიმის მსუბუქი სვლა ცხინვა-
ლად წოდებულ ყბადაღებულ ადგილს მიუახლოვდა.⁵⁶

ისლამის წინააღმდეგ აღმდგარი აჯანყებული ქართველები ღი-
რის ბუნებისანი იყვნენ და მოლაპარაკებას ბრძოლა არჩიეს, ვაქ-

რობაში სარგებელი ვერ ნახეს; ბრძოლა დაიწყო, მაგრამ უშედეგოდ, დიდი საუზმის დროს დამარცხებამ წარმართთა შეტევის ცხელი ბაზარი გააცვივა და სიმშვიდემ დაისადგურა. გარდა იმისა, რომ ორიათასი ხმალს წამოეგო, ორასორმოცდაათი ტახის ეშვიანი ბრძოლის დაწყების შემდეგ ცოცხლად შეიპყრეს და დაატყვევეს. როგორც ხსენებული დაბა, ასევე ვახტანგის სახლ-კარი ცეცხლს მისცეს, ხოლო ვინც დანებდა, ტყვედ წაიყვანეს. ძლევა მოსილმა არმამ გაიმარჯვა და გამარჯვებული დაბრუნდა. როცა ინებეს გორის ცახის ჩაბარება, თქვა — საქართველოს საზღვრები ჩემი მფარველობით არის აყვავებული და კეთილმოწყობილი და მასზე უფლება განაცხადა.

თავადებმა, რომლებმაც ხვალი ჭიქების მსგავსად ვერ შეაფარეს თავი ტყეს, ახლა, რადგან ლომის პირისპირ აღმოჩნდნენ, მელასავით ამოიძუეს კედლები, როცა ასე თავისდაუნებურად დაიდგეს მორჩილების უღელი და მის აღმატებულება, ზემოხსენებულ ქეთხუდასა და ბატონ მუჰამედის მიენდნენ და მშვიდობისა და უშიშროების ახალი სამოსით მორჩილების განწყობა გამოამჟღავნეს, მაშინ აღნიშნულმა აღამაც უზრუნველყო მათი სიმშვიდე, ოჯახისა და ცოლ-შვილის დაცვა და მამულის მფლობელობის დამტკიცება. ყველა თავადი, ვინც წყალობასა და მხარდაჭერას ეძებდა⁵⁷, ხსენებულ აღასთან ერთად გამგზავრა მისი აღმატებულების სასახლის ზღვრბლისაკან — თქვენი ხმალი და ჩვენი კისერიო. მისი აღმატებულება კი სარწმუნოებისათვის თავდადებული მემორების თბილისში შემოსვლის დღეს მოიკაზმა მამაციისა და ვაჟაკისათვის საკადრისი შეწყნარებისა და შერისხვის სამკაულით და, ოსმალური წესების მიხედვით, გამობრწყინდა დიდებულ და უფლებამოსილ დივანხანაში⁵⁸.

მართლმორწმუნე გმირების ხელში ჩავარდნილი, უპატრონოდ მიტოვებული, ქედუდრეკი ტყვე ქართველების საბრძოლო განწყობა გაქრა და შეიცვალა ხაზინის მიერ გაღებული საბოძვრით — 25-25 ყურუშითა და ამავე ღირებულების საჩუქრებით. ისეთი ხოცვა-ჟლეტა ატყდა, რომ სისხლის მოყვარული ღმერთის, მარინის, ბევრის მნახველი თვალის კი გააოცა და გააკვირვა სისხლის ოხშივარმა. მათი ხმალი დაბლაგვდა. მოენებები თვითმკვლელობით ამთავრებდნენ სიცოცხლეს და მათ ქონებას ის გმირები ეუფლებოდნენ, რომლებმაც დაატყვევეს.

მისმა აღმატებულებამ დამორჩილებულ თავადებსა და აზნაურებს კარგი პირობები შეუქმნა, გულისმომგები და საამო საჩუქრების ბოძებით თავი მოუქონა და გააბედნიერა. ბამბასავით ფაფუკი ბუნებისამ არავინ იმსხვერპლა. იმ დღის შესაფერი სირბილე და სიმკაც-

რე გამოიჩინა და საჭირო დიდსულოვნება და ვაჟკაცობა გამოამჟღავნა.

რადგან ქართველ უსჯულოებს იმედის ძაფი გაუწყვიტა წყეულმა ვახტანგმა, გარეგნულად ყველა სრულ შზადყოფნაში⁵⁹ იდგა, რომ მის აღმატებულებას დაქვემდებარებოდა და დამორჩილებოდა.

ამ დროს მისი აღმატებულება, არზრუმის ვალი, კეთილშობილი ვეზირი, პატივმოხილი და სეებედნიერი მუსტაფა ფაშა⁶⁰ შირვანის საკითხების მოსაწესრიგებლად გამოემგზავრა და თბილისში ჩამობრძანდა. დაკისრებული მოვალეობის ასრულებისათვის არც დრო იყო ხელსაყრელი და არც მარაგი გააჩნდათ სათანადო. დიდი წვეალებითა და წამებით დაბანაკდნენ სოღანლულის ველზე. ხსენებულ მეჯლისს დაესწრნენ.

გუჯარეთში თავდასხმა ლაშით

ამ ამბის შემდეგ გუჯარეთის ხალხი სარგებლობდა იმით, რომ იმით არ ჰქონდათ თავშესაფარი და მოსვენება არ იყო მათი თავდასხმისა და ავაზაკობისაგან. განაგრძობდნენ ურჩობასა და ბიწიერებას, ის კი არა და, როცა ორი ათასი თავდადებულის ქარავანი გაეშურა არზრუმიდან ერევნისაკენ და სოფელ ფოკაში⁶¹ შეჩერდა, ეს ამბავი ხსენებულმა ყაჩაღებმა ჯამუშობის გზით გაიგეს, სადგომს გათენებისას დაესხნენ თავს, ვაჭრები გაძარცვეს, მათი ქონება და სანოვაგე მიიტაცეს. ათასეულში მყოფ ყველა თავდადებულ გმირს თავი წააგდებინეს, 130-მდე ასქერი მოწამებრივი სიკვდილით გაისტუმრეს სამოთხეში.

რადგან ასეთი ძალით დაიპყრეს და დაიკავეს მთელი ქართლი⁶², ახლა საღვთო ვალად ედოთ ხსენებულ ავაზაკებზე შურისძიება თრი-ალეთის მუთესლიმის იბრაჰიმ აღასა და ისლამისათვის თავგანწირულ სხვა ყარბთა ამასწინანდელი სიკვდილის გამო. ხსენებული მისი აღმატებულება რამდენიმე რჩეული ასქერით სასწრაფოდ შეუერთდა მის აღმატებულება ქეთხუდას, რომელსაც განუწყესეს ხსენებულთა სადგომი და თავშესაფარი. ეს იყო სანიმუშოდ ჯოჯოხეთური ხეობა. ხსენებულიც ისლამის ლაშქრით ნაბრძანებ მხარეში გაიგზავნა და როცა უძნელესი გზები, ჯამბაზის სავალი თოკის მსგავსი აღმარ-

თები და დაღმართები გადალახეს, ერთ დღეს, დილით მათ მთავარ სადგომ სოფელში ავიდნენ. მოსახლეობა, ვისაც კი ბრძოლის და ომის ძალა შესწევდა, ყველა შურისძიების მახვილის ქვეშ გაატარეს. ცოლ-შვილი დაუტყვევეს, სახლ-კარსა და მამულს ცეცხლი წაუკიდეს. ქვეყანა ისე დააქციეს და გაანადგურეს, რომ ამის შემდეგ თემურლენგის შემოსევა და აოხრება ამ მხარისთვის სანატრელი გახდა. ნაგებობათა ნაშთსაც კი ვერ აგნებდნენ, რომ იქ რაიმე ემოქმედათ. მადლობა აღლაპს, მუსლიმთა ლაშქარი ძვირფასი ნადავლით გამდიდრებული და მტერზე სრულყოფილი შურისძიებით გამარჯვებული გამობრუნდა. თბილისში რომ შევიდნენ, ხსენებული წლის ზუ-ლ-კაჟიდას შუა რიცხვები⁶³ იდგა.

ბრძოლა შიიტებთან შაჰახის ნაჰიჯეში

თუმცა ქართლის ვილაჟეთი გარეგნულად სრულ მორჩილებაში იყო, თითქოსდა საზრუნავი მოიცილესო, მაგრამ თბილისს დაქვემდებარებული ყარაკალკანისა⁶⁴ და ქსნის ერისთავები, სადაც ცხოვრობდნენ იმ მთების მსგავსად, დათვის თანავარსკვლავედამდე წევდნენ მალა შეამბოხე თავებს, იყვნენ ურჩები და ფანატიკურად ქედუდრეკნი. განსაკუთრებით გასპარსელებული ხანები არ ჩერდებოდნენ შიიტურ სარწმუნოებაში და ვერ ეგუებოდნენ ერთი მიღეთის ფარცლებში ყოფნას. აღვივებდნენ ეროვნულ ნაპერწკალს, დაუმორჩილებელი, მკაცრი ბუნების დიდებულები ერთგულების ფიცის ქვეშ სულმდაბლად ჯანყდებიან და ეშმაკობისა და თვალთმაქცობის დაწყველილ საქმეში შეუდარებელნი არიან.

ხსენებული შაჰმად ყული-ხანიც ყარაკალკანის მთებში ცხოვრობდა და ელოდა, როდის დადგებოდა ლალატის მწარე თესლის მკის დრო. არ წყვეტდა ხსენებულ მის აღმატებულებასთან მეგობრულ მიმოწერასა და პირად შეხვედრებს. ბატონი იგი, ყარაკალკანისა და ქსნის ერისთავებთან ერთად, მაცდურად და ფარულად, ღუენიადაგ აგებდა მზაკვრობისა და ლალატის შენობას.

ისლამის ლაშქარს ალყაში ყოფნით სისუსტე და დაღლა მოერია, რადგან ერევნის ციხის აღება რამდენადმე შეეოვნდა და დაჯვიანდა, მათი სისუსტე მიზეზი გახდა უსჯულოთა მოდგმის გაძლიერებისა.

სარწმუნოების მტრებმა თავი წამოყვეს და ცივი გველებივით იწყეს აქა-იქ სისინი.

განჯასა და მასზე დაქვემდებარებულ შამსადდინლუსა⁶⁵ და ყაზახის ტომებში მცხოვრები გახრწნილი ყიზილბაშები საზიზღარ საქმიანობას შეუდგნენ. დამორჩილებულ ციხეებს, სოფლებსა და საგვარეულოებს ხელყოფდნენ. კუთხე-კუთხე იჭერდნენ ლაშქრის თადარიგს. გაძლიერდნენ კიდევ. ღამით, საღაც კი ხელსაყრელ ადგილს დაიგულვებდნენ, მოულოდნელად ესხმოდნენ თავს.

განჯასა და თბილისის შორის მცხოვრებმა ყაზახის ტომმა შეიტყო, შამსადდინლუსა და განჯას მათზე ბოროტი განზრახვა აქვს. რადგანაც თავდაცვის ძალა არ ჰქონდათ, ზემოხსენებულ მის აღმატებულებას მიმართეს საშველად და მცირე დახმარება სთხოვეს. მათ დასაცავად გაგზავნილი ალი ბეგისა და სხვათა მხრიდან მაცნეები მოვიდნენ. როცა ვითარება შეატყობინეს, ხსენებულმა მუჰაფიზმა სივასის ვილაფეთის ლაშქრიდან, რომელიც ქალაქს იცავდა, 200-მდე ცხენოსანი გამოყო, ხსენებულთა მხარეში დააყენა და საჭიროების დროს აღჯაყალას⁶⁶ წარგზავნა სასწრაფოდ დასაზმარებლად. მათ კი აღჯაყალამდე არ მიუღწევიათ. ყაზახთა ტომი ყარაულით მოვიდა. როცა ყიზილბაშთა ლეშის მოსასვლელ გზებზე დადიოდნენ, მოხდა ის, რამ ერთ ღამეს უზრუნველმა ძილმა სძლია. სიფხიზლე დაკარგეს. უმეცრებამ ერთბაშად დაახშო მათი გონება. გათენების ხანს გაშალეს საგებელი და გზაზე დაათინეს. როცა უზრუნველად წამოწოლილები ისვენებდნენ, მაშინ თავს დაესხნენ და თავიანთი უდარდულობის გამო ხსენებული ბედშავი ჯარის გმირობა იწვნიეს. ჩრდილოეთით გაფანტულების შეკრება და თადარიგის დაჭერა კი არა, ქვეშაგებლის პონის შესაძლებლობაც არ იყო. ყველა ვასაქცევ გზას დაადგა დასულ სათითაოდ გაიფანტა. ხსენებულმა ურჯულოებმა შეპყრობილთაგან ზოგი მოკლეს და ზოგი დაატყვევეს. 200-მდე მაჰმადიანი მოწამებრივი სიკვდილით დახოცეს. მერე იმ მხარეში გახშირდა თავდასხმები. როგორც კი შემთხვევას დაიხელთებდნენ, მოკლულთა სისხლს იღებდნენ სუნიტებისგან. რადგანაც მათი ცრუ აზრები ისლამს ეწინააღმდეგებოდა, ამიტომ ასაჯანყებლად ხელების დაკაპივებას ბეჯითად ეკიდებოდნენ.

ჯერჯერობით კვლავ უშედეგო იყო ერევნის გარემოცვა. სასაზღვრო რაიონებში მდგარმა ისლამის ლაშქარმა დაკარგა ერევნის აღ-
ზის იმედი. საქმით, რომელიც ასე საბედისწეროდ სრულდებოდა, გა-
ოცნებულნი იყვნენ.

სარწმუნოების მტრებიდან თავთავთა თანავარსკვლავედის მსგავსად 3—5 თუ მოიყრიდა ერთ ადგილას თავს, ბქობას მართავდნენ —
რა მდგომარეობააო — და უმრავლესობა უარს ამბობდა საკუთარ სი-
ცოცხლეზე. სამშვიდობოზე გასვლას ჩქარობდნენ. იქაურობა აივანო
საზარელი ამბებით. ასქერები დაიქანცნენ შიშისა და ძრწოლისაგან.
ამ დროს გამოიკა დიდებამოსილი უავგუსტოესი ფირმანი, მაუწყე-
ბელი იმისა, რომ არზრუმის ვალი, მისი აღმატებულება მუსტაფა
ფაშა და მის გამგებლობაში მყოფი არმია, თბილისის მცველი ჩილ-
დირის ვილაფეთის ლაშქრითურთ შირვანში სამსახურიდან მოიხს-
ნას, გამობრუნდეს და ყველანი ერევნისაკენ წავიდნენ.

ზემოხსენებულმა მისმა აღმატებულებამ თავისი ლაშქარი აიყ-
ვანა და როცა ნაბრძანები ადგილისკენ გამგზავრება დააპირა, მისმა
აღმატებულება მუჰათიზმა, ბატონმან ჩვენმან, ჩილდირის ვილაფე-
თის ლაშქარს ნება არ დართო დაცვა დაეტოვებინა. ორმა
ზემოხსენებულმა ითათბირა და აღნიშნული ვილაფეთი კვლავ დაცვის
ქვეშ დარჩა. არზრუმის ვალი დანიშნულების ადგილს განაწესეს და
წაბრძანდა. ქალაქი დაიკალა სხვადასხვა სახის ჯარისგან. მცველი რა-
ზმი შიშმა შეიპყრო. ერევნის ციხის აღების მოლოდინში ყურებდა-
ცქვეტილი იდგნენ.

წყვეული მაჰმად ყული-ხანი დღემდე ამავრება ტყუილისა და
მზაკვრობის შენობას. განჯაში მცხოვრებ მწვალებელს, რომელმაც
სარწმუნოების გამო მსხვერპლად გაიღო შიიტის დიდი ქონება და
სიცოცხლე, სხვადასხვა ამბავს უთვლიდა: სუნიტებს ყველას ხმაღზე
ავაგებთო — არწმუნებდა. 1500 თუმნის ქონება შეავროვებინა და მო-
ატანინა. ქართლის ვილაფეთში მცხოვრები ყველა მეამბოხე დაიქვემ-
დებარა და მერე საქართველოს საზღვრებს გარეთ მყოფი სხვადასხვა
უსჯულო: ოსი, თუმი და გადაღმა ლეკთა ტომებიდან გაურკვეველი
სარწმუნოების ბულკადარი⁶⁷ და ყარაკალკახისა და ქსნის ხანებიც
კი, ყველანი ერთად, ხსენებულის საყრდენი ძალა და მარჯვენა ხელი
შეიქნა. პირი პირს მისცეს და კავშირი შეკრეს ერთსულოვანი. გან-
ჯასა და მის მიდამოებში საომრად გამზადებულ ყიზილბაშთა ტომ-
საც შავი ბაირალები გაუგზავნეს. ამგვარი კავშირი და მტკიცე ფიცი

შეკრეს, რომ თბილისი ძნელად ასაღები ციხე არაა, ახლა მისი მცველი ჯარიც დასუსტდა და შემცირდა. ჩუეა, დედამიწა რომ ვერ დაიტევს, იმოდენა ჯარით მოვადგებით გორის ციხეს ჩრდილოეთიდან. ხსენებულ ციხეს დავიპყრობთ და შიგ მყოფთ გავკლავთ. ქალაქზე იერიშს გორხანეს უღელტეხილიდან მივიტანთ. თქვენ კი განჯაში, შამსადდინლუსა და იმ მხარეში ომისა და ბრძოლის უნარიანი, ახლა ბედის ანაბარა დატოვებული, ყიზილბაშები აშაღეთ, გატეხილი ზიდი⁶⁸ გამოიარეთ და სოღანლულის ველზე გავერთიანდებით. ხსენებულ ციხეს სეიდაბადის მხრიდან შევუტევთ და ორი მხრიდან მოვიმწყვდევთ, ციხეს ავიღებთ, მოსახლეობას და ლაშქარს გავწყვეტთ. ორი ურიცხვი ჯარი გაერთიანდება და როცა გზად, რაც კი ციხეები, დაბები და სოფლები შეგვხვდება, გავანადგურებთ, ალყაშემორტყმულ ერევანს მივალწევთ, ოსმალთა ლაშქრის ალყას მოვხსნით ერევნიდან, ერევნის ციხესაც გავათავისუფლებთ — თქვენს და გადაწყვიტეს.

განმარტებული თანახმად ნათელი იყო, რომ მუხანათურ საქციელში ეხმარებოდნენ და ბოროტზრახვათა განხორციელებას შეუდგნენ და დაიწყეს. მორჩილებაში მყოფმა პირებმა როცა დაადგინეს, რომ ქართლის ვილაჟეთში მემამბოხე ურწმუნოთა რაზმმა მოქმედება იწყო და ისლამის ლაშქარი შესუსტდა, ერთგულების ფიცი დაარღვიეს, მივიდნენ და მაჰმად ყული-ხანს შეუერთდნენ⁶⁹. წყეული მაჰმად ყული-ხანიც, რადგან წარმართთა მეთაური გახდა, ძველ სარწმუნოებას განუდგა, იგი ქრისტიანობაზე გაცვალა, სახელადაც კონსტანტინე დაირქვა და ქრისტიანი ბერებისაგან ქრისტეს მოძღვრება ჩაინერგა. ადათ-წესებს ასი წლის მოხუც ბერებზე უფრო დახელოვნებული ურწმუნო ასრულებდა, იმ ზომამდე, რომ კათალიკოსებიც კი მას ეთათბირებოდნენ ხოლმე ქრისტიანობის საკითხებზე.

როცა ეს ორი ჯგუფი ამაზე შეთანხმდა და ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, განჯელი ბოროტზრახველნი ერევნის დასახმარებლად ჩქარობდნენ და ქართველებზე ადრე ამოქმედდნენ. ადგილებიდან დაიძრნენ და თბილისზე განზრახვით წამოვიდნენ. ყაზახში მდებარე სოფლები დაიპყრეს და ⁷⁰سراسر სახელდებულ დაბას მიადგნენ ალაფობითა და ნადავლის ხვეჭით.

ერთ დღეს ყაზახის ტომის მაცნეები თბილისში მოვიდნენ და ყაზახის სოფლებში დატრიალებული სამინელი ამბები ჩამოიტანეს. ტიროდნენ მწარედ და საყელოს იგლეჯდნენ. დახმარება ითხოვეს და ხსენებულმა მისმა აღმატებულებამაც აღნიშნული ქალაქის მირმი-

რანი⁷¹ და დიდებულები და ასქერთა თავკაცები შეკრიბა და თათბირი გამართა.

მხოლოდ ქართლში მცხოვრებ საზიზღარ უსჯულოთა ხროვა არ ჩამოდიოდა მთებიდან, არც ამათი განჯიდან გამოსვლის შესახებ იყო რაიმე ცნობა. რადგან ყარაქალკანისა და ქსნის მთებში იდგნენ, უსჯულო ყიზილბაშების წინააღმდეგ წინასწარ გადაწყვეტილებანი მიიღეს, დაუბირისპირდნენ და რაკი მოიწონეს ის აზრი, რომ თავის დასაცავად თადარიგი დაეჭირათ, ამიტომ ხსენებულმა მისმა აღმატებულებამ ყველა სახის ასქერი გამოიყვანა და მთავარსარდლად დანიშნა და განაწესა მათი აღმატებულება ზემოსხენებული ქეთხუდა და ყაზახის მხარეში მყოფ ყიზილბაშთა წინააღმდეგ გაგზავნა⁷². ხსენებულმაც ისლამის ლაშქარი წამოიყვანა და სიჩქარისაგან აფორიაქებულები წავიდნენ ნაბრძანებ ადგილისაკენ. მიენდვნენ მაღალ ალლაჰს და მოწამებრივი სიკვდილისათვის მტკიცედ გამზადებული მთელი ლაშქარიც მოვიდა. ის დამე რომ გათენდა, ესქიბარეს მიდამოებში ყიზილბაშთა ფასდაკარგულ რაზმს, რაზმსაც რომ ვერ დაარქმევ, შემწედ ჰყავდა იღუმალი ღვთიური ძალა. იმ დღეს სისხლის ღვრა სალამოს ნამაზამდე გაგრძელდა. უზენაესი ალლაჰის ბრძანებით მტერს ფეხის სიმტკიცე შეერყა და ბედის ანაბარა დარჩენას გაქცევა ამჯობინა. გმირმა მუსლიმებმა მტრის დამარცხება დაინახეს და თითოეულს ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულის ხვედრი ერგო. ჯერ ძაღლონე გამოაცალეს და მოქანცეს, მერე შურისძიების მახვილი ააღვარეს და თითქმის 2000-ზე მეტი უნუგეშოდ შთენილი ხმლის ლუკმა გახდა. სიკვდილს გადარჩენილები იქითკენ გაიქცნენ, საიდანაც მოვიდნენ; იმათაც სდიეს 3 საათი. ჩამორჩენილები მინდვრებსა და ხეობებში დაიფანტნენ. ისეთი ძალით გარბოდნენ, ქაშელი ჰასანი (?) რომ გაცოცხლებულიყო, ისიც ვერ მოახერხებდა სამი კაცის თავმყურას. განჯიდან წამოსულ ყიზილბაშთა ხროვის მუფთები⁷³ და მუსტოფებიც⁷⁴ კი აღნიშნულ ბრძოლის ველზე დაღუპვის ქაში ჩავარდნენ. ერევნელმა უსჯულოებმა შეიტყვეს ამათი თავკაცის, მაჰმად ყულის მიერ გაგზავნილი ერთგულებისა და რჩევა-დარიგების წერილების შესახებ. დახმარების მოლოდინში იყვნენ, რომ განჯელ ასქერთაგან დაჭერილ ერთ ვაჟკაც მოენეს კაცი გააყოლეს და დამარცხების ამბითა და ყბადღებული წერილებით ერევანს გაგზავნეს. ყიზილბაშთა ჯარის დამარცხების ამბის ცოდნას დაზავებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ერევნელმა დიდგვაროვნებმა სიტყვიერადაც დაადასტურეს.

ისლამის საღვთო ლაშქარი ნადავლით აივსო, ცხოვრებაში ჯოხის პატრონიც რომ არ ყოფილან, მოოჰვილსა და მოკახმულ იარაღს ეღირსნენ; ქვეითად სიარულისაგან ძნიად ფეხშეჭირვებულები და შეწუხებულები მდიდრულად შეკაზმულ ცხენებზე ამხედრებულნი დაბრუნდნენ უკან და მოვიდნენ თბილისს. გარდა იმ საკიდარი ცხენებისა, რომელნიც საღვთო ომიდან დაბრუნებისას გზაზე აჩუქეს ქვეითებს, ზემოხსენებულის მიფთაპი აღამ⁷⁵ ჩამოიყვანა 16 სული სასაპალნე ცხენი, ერთიმეორეზე კუდებით გადაბმული, თითქოსდა იმ ფუნდუკის ცხენების გამრეკი ყოფილიყო, რომელშიაც კაფუჯიბა-შის⁷⁶ ძეთაურობით შეჩერდნენ. თბილისში შევიდნენ.

გაიამად უული-ხანის დამარცხება ძარ-თლუზი

ომსა და ლაშქრობაში ურწმუნოთა სისხლით დასერილი გმირი ზუსლიმეზის ტანსაცმელი ჯერ კიდევ არ აყო გაწმენდილი, მათ ყნოსვას კვლავ სისხლის სუნი სცემდა, რომ დაბრუნებიდან სამი დღის შემდეგ გორის ციხის მუჰაფიზის ჰასან ფაშას⁷⁷ და ასქერთა სხვა მეთაურთაგან და მათ მორჩილებაში მყოფ იმ თავადთაგან, რომელთაც ერთგულება ძვალსა და რბილში ჰქონდათ გამჯდარი — ამილახვრის-შვილი გივი ბეგის⁷⁸ არზით, თხოვნითა და წერილებით მაცნეები მოვიდნენ. კვნესითა და ტირილით თავიანთი უმწურო მდგომარეობა მოახსენეს და დახმარება ითხოვეს — უსჯულოთა ტომი ურიცხვი ლაშქრით ყარაკალკანისა და ქსნის მთებიდან ჩამოვიდა. გზად რაც კი წებვდათ — სოფელი და დაბა — დაწვეს და ვაანადგურეს და მავან ადგილას მოვიდნენ. ხვალ თუ არა, ზეგ გორის ციხეს ალყა უნდა შემოარტყან. ქართლის ვილაფეთში ყველა, ვინც ადრე მორჩილებას უცხადებდა, ახლა, აშკარად თუ ფარულად, ფიცს დაარღვევეს და ხსენებულთ დაექვემდებარება. გორის ციხის რაბათში⁷⁹ თავიანთი დამპყრობი ფეხი ერთხელ თუ შედგეს, ხსენებულნი ციხისაგან ხეირი აღარ იქნება. ბოლოს თქვენზედაც გავრცელდებაო — გარკვევით მოახსენეს. თბილისის აღარც მეციხოვნე ასქერებს და აღარც მცხოვრებლებს თავდაცვის იმედი აღარ შერჩათ, სულიერად დაეცნენ. დაოჯახებულებმა თავიანთი ცოლ-შვილი სხვა ადგილზე გადაიყვანეს. ქონება გა-

დამალეს. ვინც ღირსეული და სინდისიერი იყო, სიმდიდრე და ადგილ-მამული მიატოვა და წავიდა.

საგზლისა და სამხედრო საქურვლის მდგომარეობა, როგორც მათი ნათქვამიდან ჩანდა, ისეთი იყო, რომ თუ გარემოცვა 3 დღის მანძილზე გაგრძელდებოდა, სურსათიც გათავდებოდა სამ დღეში.

ვილაჯეთის მოსახლეობა მრავალჯნის ძარცვა-გლეჯამ და იავარყოფამ კიდევ გააღატაკა და კიდევ დააშინა.

მაღალმა ალლაჰმა დაგვიფაროს, მოხდენილი საშინელი ამბების გამო ხალხს თავზარი დაეცა, როგორც ქალაქის მოსახლეობა, ისე ასქერთა უმრავლესობა სულ დაიცალა კჳუა-გონებისაგან და გამოძეწილ ქანდაკებასავეთ გამოყეჴეჩდა. მეორედ მოსვლის ეამის დადგოქას ჰგავდა. ხსენებულმა მისმა აღმატებულებამ ხიფათის თავიდან ასაცილებლად მეციხოვნე ბეგლარბეგები და ჯარის სხვა თავკაცები შეკრიბა და თათბირი გამართა. ურწმუნოთა განსადევნად ლაშქრის გორისაკენ გაყვანა განიზრახა, მაგრამ უმრავლესობა არ დაეთანხმა და ციხეში გამაგრება არჩია. მხოლოდ ნაწილმა ვადაწყვიტა ციხიდან გამოსვლა და შებრძოლება. მისი აღმატებულება კეთილგონიერთა ნებას დაჰყვა და ლაშქრის გორში გაგზავნა გაბედა. ბრძანება გამოსცა — ყიზილბაშებთან ბრძოლიდან ახლახან დაპრუნებული ყველა გმირი მუსლიმი სხვადასხვა ადგილზე გამოეყვანათ. ბრძანების ასრულებას შეუდგნენ.

ასოცდაჩვიდმეტი წლის მუჰარემის დასაწყისში⁹⁰, კვირა დღეს, ლაშქარი გამოიყვანა, თავად კი ქალაქარეთ, ნახევარი საათის სავალ გზაზე, ერთ მაღალ ადგილს, საჩრდილობელი კარავი დადგა და ძლევამოსილი საიმედო ლაშქარი გააცილა. გამარჯვების კარიბჭეში მდგომი ფაფარაყრილი სილაპრების, ზუეემებისა და თიმარის მფლობელების მეთაურად ჩორუმის ბეგლარ-ბეგი ალი ფაშა დანიშნეს და ქართველ მეომართაგან შემდგარი პატარა რაზმის მეთაურად — ასსეიპ მუსტაფა ფაშა⁸¹, ხოლო ყველა მათ უფროსად და მხედართმთავრად კეთილნიებეს და ჩილდირის ბეგლარბეგი, პატივმოსილი ისჰაკ ფაშა განაწესეს. უთვალავი დაპირებებით გაამხნევა ყველანი. ხსენებულ ალაჰს სრული უმწეობითა და სასოწარკვეთით აღაპყრო ხელი ლოცვად; მუსლიმთა ლაშქარი გორს გაგზავნა მისაშველებლად⁸². თვითონ კი ათასგვარ ფიქრში გახვეულმა თბილისის დაბრუნება ინება. მოვიდნენ.

თავის სისუსტეში გამომტყდარი უძლური, რადგან განგებას სურდა, მართებულად გაეშურა ხსნის ზღვისაკენ, რათა წარმატებისთვის მიეღწია. შეღონებული ლაშქარი უფლის ბრძანებით თბილისს გან-

შორდა. გაჭირვებამ და დამცირებამ იმატა; როცა სარწმუნოების მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად გორის ახლოს იდგნენ, სისუსტეს დაღლა დაერთო და შიშმა და ძრწოლამ დაისადგურა.

უმწეოთა გვარი კი გაძლიერდა, მათ გულებში წარმატებისა და გამარჯვების სხივები აკიაფდა. მაგრამ, ალლაჰის წყალობით, წინადაცვეთის ლხინით ჩაიარა ამ საქმემ.

თურქებმა შეიტყვეს, რომ უსჯულო ჯამათის მეთაურებმა — ქმნისა და ყარაყალჯანის ერისთავებმა, კერძოდ, წყეულმა მაჰმად ყულუმ, ახლა რომ კონსტანტინედ გადაიქცა, როცა გაიგეს მუსლიმთა ლაშქრის თბილისიდან გასვლის ამბავი, ჰასუხის მისაგებად თვითონაც გორისაკენ ქნეს პირი. სიმრავლით გათამამებულ დავრდომილებს გორის ციხეზე ჰქონდათ ავი განზრახვა. მაგრამ მაჰმადიანთა საგმირო მოქმედება ზემოხსენებულებს მძიმედ ეჩვენათ. თავდაპირველ განზრახვაზე ხელი აიღეს და გორის ციხეზე თავიანთი გეგმები შეიცვალეს. ძღვევამოსილ საიმედო ლაშქარს პირველად დაუპირისპირდნენ და მათი წყობის ხილების შემდეგ ეკვი არ შეპარვიათ, რომ გორის ან თბილისის ხელში ჩაგდებას შეძლებდნენ, ისლამის წინააღმდეგ ბრძოლა მიზანშეწონილად მიიჩინეს. მდინარე მტკვარს აღმოსავლეთით მიჰყვებოდნენ და გორის ახლოს გადავადნენ მეორე ნაპირზე. იმ ადგილას მივიდნენ, სადაც თბილისიდან მომავალ ლაშქარს უნდა გამოეცლო. მათ ხომ ისლამის ლაშქართან პირისპირ შეხვედრა სურდათ.

გორის ციხის გუშაგებმა დაინახეს, რომ ზემოხსენებულები მტკვარზე გადავიდნენ და ისლამის ლაშქრის წინააღმდეგ წავიდნენ. ციხიდან რამდენჯერმე ტყუილად გაისროლეს ზარბაზანი და წყეულთა რამდენიმე ბელადი ჯოჯოხეთისკენ გაუყენეს გზას. თუმცა ისლამის ლაშქარს წინ აღუდგნენ, მაგრამ მაღალმა ალლაჰმა ნუ ქნას, რომ მძლეველნი მოსულიყვნენ, თორემ კვლავ ბოლო მოგვეღებათ — ხელებს ვედრებით მაღლა იწვდიდნენ და შველას ითხოვდნენ.

ისლამის ლაშქარი ღამე წავიდა და დილით უკვე მტკვრის პირას იდგა. ვიდრე ცხენებზე ამხედრდებოდნენ, გორის ციხიდან გასროლილმა ზარბაზნის ხმამ მათი ყურთასმენა გამოაფხიზლა: სანამ უსჯულოთა ხროვა გორის ციხის ალყას განამტკიცებდეს, მეციხოვნეებს დამსმარე ძალად უნდა მიუფსწროთო, თითოეულმა მათგანმა გამწევ და სასაპალნე ცხოველებზეც კი აკადრა შემოხტომა; გორში ჩასასვლელად ძალ-ღონე არ დაიშურეს და დიდი გულმოდგინება გამოიჩინეს. მეწინავე ლაშქარმა გზად ატენის ხეობად სახელდებული ადგილი გაიარა და მოლაშქრეებმა დაინახეს, რომ წინ მდებარე მთები და

ხევეები — მთელი მიდამო — ავსილია ავბედითი ლაშქრის გმირობით. დაბლობებზე და მაღლობებზე, მათ თვალსაწიერზე ერთი ნაბიჯიც არ ჩანდა თავისუფალი. სურვილი აისრულეს და მოვიდნენ. ვაჟკაცებმა გმირობისთვის მომართული დაფარული ცეცხლი გამოაჩინეს. ზურგიდან მომავალთა მხარდაჭერას არ მოელოდნენ. კარის მცველმა⁵⁵ 300—400-მდე ფალავანმა მთელი ძალით დაარტყა იმ უკიდვანო ზღვა ლაშქარს. დამპყრობთაგან რამდენიმე რჩეული მეწინავე მოსპეს. მათ შენიშნეს, რომ ლაშქარზე აღრე მოსული გულოვანი ვაჟკაცები მცირერიცხოვანნი არიან. მათი მამაცობის შექებით არ შეიცვლებოდა, სული კბილზე იყო მომდგარი! ერთხელ დაუპირისპირდნენ და უკან დაახევიან, მათ შორის მდებარე მაღალი მთის მწვერვალამდე მირეკეს. მოულოდნელად დაინახეს, რომ მუსლიმთა ლაშქრის ფერად-ფერად დროშებს ის პატარა ველი გაზაფხულის შესაშურ აღვილად უქცევია და ახლად აყვავებული ხეხილის ბალისათვის დაუმსგავსებია. როცა ისლამის ლაშქარი იხილეს, ერთადერთი ჭეშმარიტი სარწმუნოების სიღიადით განცვიფრდნენ და გული შეულონდათ. მაშინვე უკან იბრუნეს პირი. ისლამის ლაშქარმა ზურგიდან დახმარება მიიღო და იგრძნო, რომ მტერს მალე შეერყეოდა ფეხის სიმტკიცე. სრული ძლევითა და გამარჯვებით შეუერთდნენ მეწინავე მეომრებს, წინ გაირეკეს და პირდაპირ ბანაკში მოიყვანეს. წარმართთა ხროვამ მოულოდნელად დაინახა, რომ მეწინავე მამაცი მეომრები ისე იყვნენ მოფენილი, როგორც ძლიერი ქარისაგან გაფანტული ხმელი ტოტები, ისლამის ლაშქრის შემოტევას ვერ გაუმკლავდნენ. პირდაპირ მათკენ წავიდნენ, მაგრამ ყველა დამარცხდა და პირი იბრუნა. მხედრებმა გაქცევით უშველეს თავს და სამშვიდობოს გავიდნენ. ქვეითებმა როცა დაინახეს, რომ ცხენოსნებმა ზურგი შეაქციეს, ხალიჩების ხელში ჭერის ძალაც კი წაერთვათ, რომ აუცილებელი ლოცვა აღესრულებინათ. ლომთა მძლეველი მუსლიმი ქვეითები — ჩვენი საქმე ნადირობააო — მხედრებს დაედევნენ, ფონის მისადგომამდე არც კი მიაღწევიან, მტკვარში ყველაზე ღრმა წყალში შეერეკეს. გზაში, ვიდრე მდინარის ნაპირს მიაღწევდნენ, სულ ხოცავდნენ, წყალში შეყრილების ბედი კი მდინარე მტკვარმა განსაჯა. იქიდან გამობრუნდნენ და გაშლილ ველზე მიმოფანტული ურიცხვი ქვეითი ისე ჩეხეს ხმლით, რომ ცაში მარინის გამოცდილ თვალსაც კი სისხლის ასეთი ოხშივარი არ უნახავს.

გარდა მტკვრის წილხვდომილი 300—400 ცხენოსნისა და გმირთა ხმაღს გადარჩენილი დაჭრილებისა, რომელთა რაოდენობა უცნობია, 4000 ქვეითი და ცხენოსანი ლომგული გმირების ხმლის ლუკმა

გახდა. ამასობაში ის საზიზღარი ხროვა ისე განადკურდა, რომ სათქმელადაც ძნელია. გამარჯვებულმა და ძლევამოსილმა მუსლიმმა გმირებმა გორის ციხეს მიიღწიეს. ის დამე ციხის წინ გაათენეს და მეორე დღეს ზემოხსენებულ მის აღმატებულებასთან გამობრუნდნენ — სელცარიელი როგორ წავალთო — თქვეს და, რთველადან დაბრუნებულ გლეხებივით, მოკლულთა თავებით დატვირთეს 50—60 ურემი, თბილისისაკენ წამოვიდნენ და თან წამოიღეს საჩუქრად⁸⁴.

ზემოხსენებულ მის აღმატებულებასთან კი მახარობლები მოვიდნენ, სასიხარულო ამბავი მოიტანეს და ჯიბეები და კალთები ავესებინეს სამახარობლოთი. ქალაქის მოსახლეობამ, სასოწარკვეთილი რომ იყო, ახალი სიცოცხლით იწყო ცხოვრება. ჯარიბი სომხები თერთონ ანთებდნენ სახლებში ჩირაღდანს და ისე მომეტებულად მხიარულობდნენ და ზეიმობდნენ, რომ აღწერა შეუძლებელია. ბოლოს ზემოხსენებული მისი აღმატებულება გმირებთან შესახვედრად იმ ადგილას გამოვიდა, საიდანაც გაისტუმრა ლაშქარი. იქ საჩრდილობელი კარავი დადგეს და იწყო მოსვლა უწყვეტად⁸⁵ ძლევამოსილმა ისლამის ლაშქარმა — სახემცინარმა და მომღამარმა, ბედნიერებით გაბრწყინებულმა.

ყურის დამკერთ 20-20 ყურუში უბოძეს, მოენეთა მომყვანებს — 30-30 და 40-40 ყურუში, ექვნიბიანი ბაირალისა და დროშის, წყეული კონსტანტინეს გახუნებული ჯილის, დაფისა და ქნარის მომტანები თანამდებობისდა მიხედვით დაასაჩუქრეს, საბოძკრის გაცემით ყველას გული მოინადირეს. დაჭრილები და დაკოდილები დამაყუჩებელი მალამოს სიმრავლით მოიმადლიერეს.

ბედნიერებმა, გაამაყებულებმა და დიდად გახარებულებმა უკან დაბრუნება ინებეს. დაცვას ემსახურებოდნენ, რომ წმინდა მუჰარემის მეათე დღე დადგა⁸⁶.

ზემოხსენებული მისი აღმატებულების წარმატებათა ასფურცელა ვარდი გამარჯვებათა წალკოტში იყო ვერცხლის სინზე გადაშლილი. ამბის გაგზავნა ბრძანა მისი უდიდებულესობის წინაშე და გარდახდილი ამბავი მაღალი მეცნიერების დავთარში ჩაიწერა⁸⁷. რადგან ერთგული სამსახური კეთილად იქნა მიღებული, ამიტომ ზემოხსენებულს მისი სრულყოფილად საქებრ ღირსებას შესაფერისი სასამუხრის ხალათი უბოძეს, თავიდან ბოლომდე რომ მოსავდა მას, ხოლო ხმლის საფასურად 20 ქისა ფლური მიართვეს. სამსახურში წასახალისებლად სხვა წინამძღოლებსაც უბოძეს ნიჟა საკადრისი: მის აღმატებულებას, ჩილდირის ბეგლარბეგს. სეებედნიერ ისპაკ ფაშას — სასამუხრის ერთი ხალათი და 5 ქისა ოქრო. მის აღმატებულებას სა-

რიპ მუსტაფა ფაშას კი — ოქროქსოვილის ხიფთანი⁸⁸ და ორი ქისა ოქრო. სხვანი ბეგლარბეგები, სანჯაყბეგები და სამხედრო პირები გაწადიდეს და დაამშვენეს ოქროქსოვილი ხიფთანებით. ინებეს და საბოძვარი მათი აღმატებულების დივეზირის მთავარი ჩუხაღარის⁸⁹ ხელით გამოგზავნეს და მოვიდა.

ეს სასიხარულო ამბავი ერევნის ციხეში გამოკეტილ შიიტებზეც აისახა. ხსენებულთა გულის ძალა ესენი არიან. რადგან სულ ცოტა ხნის წინ დამარცხებული განჯელი შიიტეზი ველარ ეხმარებოდნენ, ასლა ორივე მხრივ იმედგაცრუებულნი დარჩნენ და ამიტომ საჩქაროდ შეაჩაგრეს დამორჩილების პირობები, მწუხილობიანობა განამტკიცეს და [ოსმალებმაც] პატიება აღუთქვეს.

ლეკების დაპარცხება

მისი აღმატებულება, ხსენებული ჩვენი ბატონიც კი დარწმუნებული იყო მტრის მოდგმის უბედურებაში; ხსენებულ ქალაქს (თბილისს. — ც. ა.) აღმოსავლეთით უშუალოდ ლეკთა ტომი ემიჯნებოდა. ეს ის ტომია, რომელთა არც ენაა გასაგები და არც სარწმუნოებაა ცნობილი. მაღალი ალლაპისაგანაა, რომ მათი გულიდან არ ამოდის საქართველოზე მძარცველური თავდასხმები. ავაზაკთაგან ჩადენილ საქმეებს თავი და ბოლო არ უჩანს. სიკვდილი და სხვისი მოკვლა ვაჭრობაზე მეტად ამხიარულებთ. მათი უწყალობა მხოლოდ თათრის⁹⁰ უხეშ ბუნებაში მდგომარეობს. ეს ის ხროვანაა, რომელსაც მოსვლა, თავად თბილისისა და მისი შემოგარენის ძარცვა და ბევრი ადვილის ხელყოფა ჩვეულებად აქვს გადაქცეული. არავისვან უგემნიათ დამარცხება და არც არავის დაქვემდებარებიან. გარეული მტაცებლებივით, რაც მოესურვებათ, იმას აკეთებენ. რომელი ადგილიც მოეპრიანებათ, იმას ესხმიან თავს ღამით. თავისუფლები არიან, დიდი და პატარა, ყველა ავაზაკი და ბოროტმზრახველია. თავიანთი უცვლელი ჩვეულებებისამებრ მოვიდნენ.

თბილისიდან საათნახევრის სავალ გზაზე მდებარეობს ერთი სოფელი — სახელად დიღომი. იგი თბილისის ვალიების ჩიფთლიქია⁹¹. ლეკები ხსენებულ სოფელს დილაადრიან დაესხნენ თავს. დაარბიეს და გაძარცვეს. ჯერ მთელი ოჯახები დაიჭირეს და ცოლ-შვილი დაა-

ტყევეს. მერე მოხუცი ქალები და კაცები დახოცეს. როცა უკან მიდიოდნენ, სოფლის მცხოვრებთაგან ერთმა-ორმა კაცმა დრო იხელთა და ღრიალით თბილისს მოვიდა. ზემოხსენებულ მის აღმატებულებას ვითარება აუხსნეს და მანაც კარის მცველი რაზმი — ერთგული ქვეშევრდომნი, რომლებიც საომრად იყვნენ გამზადებულნი, საჩქაროდ კვალდაკვალ დაადევნა. სხვათაგან კიდევ ჩილდირისა და სივასის ვილაჯეთების ლაშქარი ადრე გაგზავნილ ჯარს დააწია და დაახმარა. სახელოვანი ქეთხუდა და ჩილდირის ბეგლარბეგი ლაშქრის წინამძღოლად დაინიშნა და წავიდა, ზემოხსენებულ ავაზაკთა წინააღმდეგ წაბრძანდა. მდ. მტკვარზე ارجلان-თან²² გადავიდნენ, მდინარეს ნაპირ-ნაპირ გაუყვნენ და მათკენ გაეშურნენ, მივიდნენ, ავაზაკთა ზრბოს ხსენებული სოფლის წინ შეხვდნენ. ხელთჩაგდებული ნადავლის ერთი ნაწილი იქეთა მხარეს გადაიტანეს, ნაწილი აქ დარჩა და ნაწილი კიდევ სხვაგან გადამალეს. ადრე მოსული ლაშქარი მათ წინ მდგომებს შეერია და ბრძოლაში ჩაება. უკან მომავალთაგან 100—200 კაცმა მიაღწია და ისლამის ჯარი გაძლიერდა. სულ რამდენიმე შეტაკების შემდეგ დამარცხდნენ. ნადავლი ქონება და ტყევეები მიაგდეს; თავიანთი ცხენები და საკიდარი საქონელი მიატოვეს; იარაღი და ქვეშააგებელი დაყარეს. პირდაპირ მიაღწნენ ტყიან ციციბო მთას. რადგანაც ქვეითად იყვნენ, იმ ძნელ გადასასვლელ მთას გვერდი აუარეს და სულის შესანარჩუნებლად მოკურცალებს. ამბობენ, რომ იმ დღევანდლამდე ორასი ლეკიც რომ შეკრებილიყო ერთ ადგილას, მათზე ვერავინ გაიმარჯვებდა. ამჯერად კი 7000-ზე მეტი მამაცური ბრძოლით თბილისთან ახლო მოვიდა და მათი მოდგმის შერცხვენის უამს მუსლიმი გმირების ხელით ორი-სამი ათასი განადგურდა. იმ ადგილიდან, საიდანაც უკუიქცნენ, ვიდრე ხსენებულ მთამდე ხელთ იგდეს 50 თავი, 50 მოენე და დაჭრილები, რომელთა რიცხვი უცნობია.

მათი განდევნის ამბავმა როცა თბილისს ჩამოაღწია, თბილისის მოსახლეობა უფრო გაახარა და გააბედნიერა, ვიდრე მაჰმად ყულიხანის დამარცხებამ, რადგანაც ლეკთაგან სახლ-კარი ჰქონდათ აოხრებული და გულ-ღვიძლი დამწვარი. თბილისელთა სიხარულის, ბედნიერებისა და აღტყინების აღწერა შეუძლებელია.

ბრძოლიდან დაბრუნებული მაჰმადიანი გმირები მოვიდნენ. ხელთჩაგდებული თავები, ენა და ყურები ზემოხსენებულ დიდგვაროვნებს წარუდგინეს დასათვალისწინებლად და სანაცვლოდ, მდგომარეობისდა შესაფერისად, მიიღეს ნიჭი და საბოძვარი.

მისი აღმატებულება ამ საქმიანობაში იყო გართული, რომ საა-

ზღის ალაყაფის კარებში გამოჩნდა და მოვიდა იშვიათი გმირობის ბედნიერი მახარობელი, სანეტარო ცნობისა და სასიხარულო ამბის მაცნე. თავი დაბლა დახარა და ცად აღმართული ერევნის ციხის აღებისა და დაპყრობის სამახარობლო ამბავი დაადასტურა⁹³. ძლევა მოსილმა სარდალმა დიდი გამარჯვების მაუწყებელი წერილები დახსნა და ქვეყანას მოჰფინა. მოსულ ჩუხადარს საპატიო ხალათი ჩააცვეს და სამახარობლოს ურიცხვი საბოძვრის გაცემის ცერემონიალი აღასრულეს.

რადგანაც ერთი საათის განმავლობაში ჰორიზონტზე ორი კუდიანი ვარსკვლავი გამოჩნდა⁹⁴, მხიარულება განაახლეს. თოფისა და ზარბაზნების ზათქით აღნიშნეს და დიდი დარბაზობა გამართეს. ძვირფასი ფარჩეულით მორთულები ქუჩებსა და მოედნებზე საზეიმო სვლას დაეწაფნენ. ზეიმის შემდეგ კი ფაშას, მის აღმატებულებას ხსენებულ სერასქერს გამარჯვება და ძლევა მოსილება მიულოცეს და მისი განდიდების ცერემონიალი აღასრულეს.

შემდეგ, აღნიშნული წლის რეზიდენტი-ეველის დასაწყისში⁹⁵ მოვიდა ქვეყნის მპყრობელის, მისი უდიდებულესობის ნაწყალობევი საბოძვარი და საპატიო ხალათები, რომლებიც მათი აღმატებულების დიდი ვეზირის მთავარი ჩუხადარის ხელით გამოგზავნეს, მასაც ზეიმით შეხვდნენ და დივანის წევრები შეიკრიბნენ. თანამდებობისდა შესაბამისად ჩააცვეს საპატიო ხალათები და კაბები და გადასცეს საჩუქრები. რადგანაც მათი კეთილი სამსახურისა და სანაქებოდ სათნო გულისხმიერების შედეგად საქმე სასიამოვნო ვითარებაში დასრულდა, დაცვის სამსახურში სიხარულით იწებეს დგომა.

მეხვედ ალას⁹⁶ მოწამებრივი სიკვდილი, წყალობდეს მას ალლაჰი

ამასობაში საქართველოს საზღვრის ყველა მემამბოხემ თავზე ზირკა⁹⁷ მოიხედა; სამარცხვინო და დამამცირებელ ადგილებს შეაფარა თავი და იქ იჩრია განმარტობა. შემოგარენსა და სანახებში სიმშვიდემ დაისადგურა. მაგრამ ხსენებული ქალაქის აღმოსავლეთი მხარე, რომელიც კახეთის მიჯნაზეა, ლეკებისაგან იყო აოხრებული. აბადანსაც⁹⁸ ლეკი ავაზაკები ფლობდნენ. რადგანაც იმ ჰზრიდან მათ

არაფერი აბრკოლებდათ და ხელს არ უშლიდათ, ამიტომაც მოვიდ-
ნენ. აქაურ დანგრეულ სოფლებსა და ციხეებში ჯგუფ-ჯგუფად გა-
მაგრდნენ და თავშესაფრად გაიხადეს. საქართველოს საზღვარზე
ავჯახობდნენ. ზემო აღნიშნულმა მისმა აღმატებულებამ მათ ზურგ-
ში ლაშქარი განაწესა და უკან დაადევნა; ისინიც ზოგჯერ ეწეოდ-
ნენ, ზოგჯერ კი — ვერა. იმ ზამთარს მოსვენება არ იყო მათ შორის
ომისა და ბრძოლისაგან:

ვიდრე ამ ყოფაში იყვნენ, ვერაგი მერიქიფის ზეედრი იხილეთ!
მეჯლისის დასრულებამდე არავისთვის შეუვისია ფიალა სიცოცხლის
დამატკობელი, ბედნიერების მომნაქებელი დიდებული ღვინათ. ყო-
ველ შემთხვევაში. ღრმად დამწუხრებულს თუ ზარხოშმორეულის
დარდი დაერთო, მისი შეპყრობა უტყუარი წესია; რომელი იმედის
კალს გვინახავს, რომ ცეცხლის აკრძალვის გამო არ დამწვარიყოს?;
რომელი ქათქათა საყელო გვინახავს, რომ მწუხარების სისხლნარევე
კრემლებს არ შეეღებოს?! რამდენი ვარდის წალკოტია სამოთხის
ბაღზე უფრო აყვავებული და კეთილნამენი, რომ მისი ნაყოფი თუ
ფოთოლი შემოდგომის ცივ ქარს გაუძარცვავს და გაუნადგურებია?!
რამდენი კეთილმოწყობილი სახლის მსგავსი აყვავებული ადგილი
მოუხრავს და მიწასთან გაუსწორებია მასზე იაჯუჯის⁹⁹ გამარჯვებას?!
ვისი ოცნების სანთელი დამწვარა ბოლომდე?! რომელი ძლიერი სურ-
ვილის წყურვილი მოუკლავს ევფრატსა და ნილოსს?!

წინაპართა გამგებლობის დღეები და საქმეთა წარმატებით და-
გვირგვინება ჰეშმარიტად წარმოიდგინა და გამოხატა პატივმოსილ
დავთარში. სიკვდილისათვის განემზადა ვიდრე სიკვდილის წამი დად-
გებოდა. განთავისუფლდა სურვილთა ბორკილებისაგან და უკვდავე-
ბით განისვენა, სოფლის უძღებ მსახურთა ტანჯვა-წამება იხილა. უტ-
ყუარი ცოდნის დაფაზე წერია, რომ კვლავაც არ შეიწყნარებს მათ
აღსასრულს [უზენაესი]. შეურაცხმყოფელი სილატაკით და მწირო-
ბით გაიხარა. ათასი წელიც რომ იცოცხლო, ვერ გაიხსენებ მისი წარ-
სულის მქონეს, არც მომავალს ეყოლება მსგავსი. წამიერი იყო მისი
ყოფა. ერთ დღეს, ისრის ყელსაბამისაგან გაუთავისუფლებლად.
კვლავ ოცი წლის ჰაბუკივით დამწუხრებული წავიდა, ბედნი-
ერი ცხოვრებით დატკობაზე ზღმიწვდომის იმედი დაკარგა. წილად
ხვდა მუდმივი სიმდიდრე. ჰკვიანზე ჰკვიანის გამოცდილების კვალად
წარმავალი ქონება გულგრილობისა და უგულვებელყოფის ჰაში შეი-
ნახა. ჰაბუკი მავანის სულის საუნჯეში ჩვენს სიყვარულს მტვერი არ
დაედება. უმწიკვლო სული სხეულის ტანჯვით არის განწმენდილი და
განთავისუფლებული. გულის კანდელი გონების სხავებს უერთდება,

ზოციალურ სხივები მიზნებითა დამფუძნებლით ელავს და ბრწყინავს, უფალს ერწყმის. იმქვეყნიური ცხოვრება ღვთიურ სამყაროს ენიჭება და უერთდება.

ბედის ყველა სიმუხთლისაგან ერთი ის არის, რომ ზემოხსენებული მისი აღმატებულების, ეგვიპტარის საქმის მსახურის, პატივდებულ ქეთხუდას კეთილშობილი სიცოცხლის გაზაფხული მოისპო და იმედის წალკოტის სამკაული გახდა მისი მოწიფული, კეთილშობილი ძე. ხანი რომ დასკლოდა, დიდებული მემკვიდრე იყო. კეთილშობილი წარმომავლობის, მდაბიო ხალხთან მორიდებელი და ძალიან თავაზიანი, თვითონ უბრალო, მეგობრებთან აბრეშუმზე, ნარმაზე და ბამბაზე უფრო ფაფუკი; თავისთავად სრულყოფილი ვაჟკაცი და მამაკაცი იყო. სახობო ბუნების გამოცდილმა მეცნიერმა თუმცა ასაკით 20 წელს მიაღწია, მაგრამ სრული ცხოვრება განვლო და იყო სწავლული ფირი¹⁰⁰, სრულქმნილი და მკვერმეტყველი. მამამისის, ზემოხსენებული მისი აღმატებულების სიცოცხლის წლები დათვლილი იყო. შვილი ედგა იმედის და სიყვარულის ღერძად. მთლიანად მასზე იყო დამოკიდებული, არ განშორებია, შინ თუ გარეთ თან ახლდა. მთელი ხალხის სინდისი და თავდადება, რადგან ბუნებით იყო შეუდარებელი მამაკაცი, გარდახდილ ომებში მთელ ლაშქარს ხელმძღვანელობდა და წინ უძღოდა.

კახეთის საზღვარზე ახატნად¹⁰¹ სახელდებულ ერთ სოფელში იდგა კოშკი მაღალი. ხსენებულ ავაზაკებს ერთ ღღეს ის კოშკი თავიანთ შესაკრებ ადგილად და საიმედო თავშესაფრად მიუჩნევიათ. აღნიშნულ მხარეში მათი თავმოყრის ამბავი ზემოხსენებულმა მისმა აღმატებულებამ შეიტყო. მისი აღმატებულება, ხსენებული ქეთხუდა რამდენიმე ასქერის მეთაურად დაინიშნა და დაეკალა ავაზაკების აღნიშნული კოშკიდან გამოყვანა და განდევნა და კოშკის დანგრევა. გაზაფხუნს და ზემოხსენებული მისი აღმატებულებაც მივიდა და საჩქაროდ შეუდგა ალყაშემორტყმული ციხის ნგრევას და იმ ავაზაკთა გამოდევნას. მაგრამ ყაჩაღებმა აქა-იქ გაამაგრეს ჩამონგრეული ადგილები და წინააღმდეგობის გაწევა იწყეს. ამასობაში, რაკი მთელ სახლს გაუწყდა სიცოცხლის იმედის ძაფი, რამდენიმე ლეკი ჩაიკეტა და შიგნიდან ატეხა თოფის სროლა., ხსენებულმა მეჰმედ ბეგმა კი თავისი ალალი მკერდი ბედისწერის ისარს დაუგო ფარად.

როცა ხსენებულთა წინააღმდეგ გამოვიდნენ, ერთმა შეუბრალებელმა წყეულმა შაშხანიანი თოფი მეჰმედს მკერდში დაუმოხნა. გარდუვალმა ბედისწერამ გაიმარჯვა, პირდაპირ გულში მოხვდა და ზურგში გაუარა. როცა დაჭრილი მიწაზე დაეცა, მთელმა ჯარმა მიანება

ბრძოლას თავი და მასზე დადარდიანებულებს მინდობილი საქმის შესასრულებლად არც კი გაუხედავთ, ხსენებული აიყვანეს და თბილისში დაბრუნდნენ, ჭრილობა შეუმშრალეს, შეუხვიეს და დასტაქრები დააყენეს. მაგრამ სიკვდილის უამი დამდგარიყო და ზომების მიღება უშედეგო აღმოჩნდა. 1137 წლის ჯუმად-ალ-სანის მეთვრამეტე დღეს¹⁰² სარწმუნოებისთვის თავდადებულმა შენდობის ველზე გააქენა ტაიქი — აღესრულა. უხვი წყალობით შეიწყალა ალლაჰმა „დიდი მოწამე მეჰმედ ბეგი და სამოთხეში დაუმკვიდრა ნაესაყუდელი“.

ნახევარტაეების თარიღად დაწერა მიბრძანეს¹⁰³.

ცნობები ქუჩუქ ჩელები ზადეს ისტორიიდან.

თარგმანი

სილაჰდარ იბრაჰიმ ფაშას სპასალარობიდან ჩამოყვანილობა და არიფი აჰმედ ფაშას დანიშვნა

როგორც ზემოთ იყო აბრეშუმით ამოქარგული, თბილისის ემალეთი, რომელიც სანაქებოდ აიღეს, ხელთ იგდეს და მეფურად დაიპყრეს, ღვთივდაცულ ქვეყანას შეუერთდა. ხსენებული ქვეყნის ყველა საქმეთა მოწესრიგება მიენდო სერასქერად დანიშნულ არზრუმის ვალის, ვეზირს, სილაჰდარ იბრაჰიმ ფაშას და გაემგზავრა. უზენაესი ღვთაებისა და ქვეყნის მპყრობელი ფადიშაჰის შთამბეჭდავი ძალით კლანჭებში მოიმწყვდია და დაეუფლა. იმ ხსენებულ დიდ ქვეყანაში ტრადიციული წესები სამართლიანად აღასრულა, უხვი საბოძვარი გაამრავლა, ძალმომრეობასა და ანგარებას განერიდა. ქვეყნის საქმეები მოაწესრიგა და მოაგვარა. მოსახლეობასა და ქვეშევრდომებს სპასალარისთვის შესაფერი მზრუნველობითა და ყურადღებით მოეკიდა, მართლაც რომ საღვთო კანონის გარღვევალობით ასრულებდა მინდობილ საქმეს: ამ დროს არზრუმის თავზეხელალებულ ალათაგან ვინმე უზუნ მუსტაფა აღას მეშვეობით ვახტანგისაგან ქრთამის სახით გამოგზავნილ დიდძალ ქონებას დაეხარბა და დაეწაფა¹⁰⁴; ხსენებული ვახტანგის შვილს, სახელად შაჰნავაზს, ახლახან რომ ისლამის

მიღებით გაპატიოსნდა და იბრძობდა იწოდა, ხაზინისათვის წელ-
წადში გარდაკვეთით 40000 ყურუმის გადახდის, პირობით, თბილისის
წმინდათველობა საჩქაროდ უბოძა ოჯახიკის წესით.

ხსენებულის წაქეზებითა და შეგულიანებით ასქერთა რაზმმა
თბილისის ციხეში შესვლის მეორე დღეს. ჯერ კიდევ რომ არ იყვნენ
გამაგრებული და ფეხი არ ჰქონდათ მტკიცედ მოკიდებული, რამდენ-
იმე სპარსი ვაჭარი ქალაქიდან გააგდო. დიდებული რამაზანის შუა
რიცხვებში¹⁰⁵ რამდენიმე გარეწარი და მაწანწალა იმ საცოდავთა ოჯა-
ხების წინააღმდეგ გამოვიდა და სიმდიდრისა და ქონების წართმევა
იწყო. გარდა იმისა, რომ ბევრ მდიდარ ვაჭარს ლუქმაპურის შოვნა
გაუქირდა¹⁰⁶, მაჰმად-ყული-ხანის, რომელიც ხსენებული ციხის გასა-
ღებით უბრძოლველად და უომრად თჯიოთ მიეგება, არზას ყური არ
დაუგდო და არ მიიღო. არზით მაჰმად-ყული-ხანი პირდებოდა გან-
ჯის, ერევნის და ირანის სხვა ქალაქების, რომლებიც, თუმც მალაღი
ქვეყნის მხრიდან თბილისის ხელისუფალს ემსახურებოდნენ, უბრ-
ძოლველად და უსისხლოდ ღვთივდაცულ სასულთნოსათვის მიერთე-
ბაზე ზრუნვასა და გარჯას და საკუთარი ქონებიდან 300 ახჩის გაღე-
ბას ლაშქრობაში დასახარჯავად.

ხსენებული ხანი დიდი ხანია ერევნის ემალეთის ვალია და შორს-
მკვერტილი ვონებისა და მტკიცე აზრის გამო ირანის ხანებს შორის
ძალადი ღირსებითა და პატივით გამოირჩევა. ადრე გაწეული სამსა-
ხურის პასუხად მალაღი პორტის მხრიდან პატივისცემა და კეთილ-
განწყობა დაიმსახურა. როცა გამოვლინდა, რომ სხვების დამორჩილე-
ბის მსურველია და მორჩილებისკენ წამქეზებელია, სწორედ მაშინ
ხსენებულმა სერასქერმა შაჰნავაზის მხარდაჭერა იტვირთა იმ ვარა-
უდით, რომ შაჰნავაზის გამგებლობის ყამს სიმშვიდე მაჰმად-ყული-
ხანის გაქცევასთან იქნებოდა დაკავშირებული. ხანი იგი მდაბიურთა
მსგავსად იყო მოკლებული დარბაზობასა და ტკბილ საუბარს, მეგობ-
რობასა თუ საკუთარ წრეს და ტიკინებით მოთამაშეს ჰგავდა. გულა
ატიკნეს, რადგანაც ერთ ვიწრო და ბნელ კარავში დასვეს. მაგრამ თა-
ვი ისე დაიჭირა, თითქოსდა მოსათათბირებლად მისი ღირსების შე-
საფერისად ჩამოსვლას, ნიქსა და საბოძვარს ყურადღებას არ აქცევს.
საკვებად მხოლოდ იმდენი განუსაზღვრეს, რომ შიმშილით არ მომ-
კვდარიყო, რითაც უზომოდ შეურაცხყვეს. ხსენებულ ხანს თავი მოა-
ბეზრა ამგვარმა ყოველგვარ მოლოდინს გადაჭარბებულმა მტრულმა
მოქმედებამ. ეს განხდა მიზეზი იმისა, რომ ერთ ღამეს შაჰისაგან ოჯა-
ხიკის წესით ბოძებული კახეთისაკენ მოაბრუნა სადავე და გაიქცა.

მაჰმად-ყული-ხანის ქონებას მის სიცოცხლეშივე დაეპატრონა

[იბრაჰიმ ფაშა], თითქოს თვითონ იყო მემკვიდრე მისი. ეს შედეგი იყო ხსენებული ხანის სიხარბისა და უზნეო გაუმადლობისა.

დაადგინეს, რომ განჯისა და ერევნის ხანებსა და ხალხს სურთ და მზადყოფნაში არიან მაღალი სამეფოს მფარველობის ჩრდილქვეშ ეძიონ თავშესაფარი და დაქვემდებარებისა და დამორჩილებისათვის ნიშანს ელოდებიან. როგორც ხანი და ვალი, ისე ვაჰარი და ხალხი საბაბს უცდის.

მაღალი ალლაჰის შეწევნით თბილისის აღება და დამორჩილება უომრად და უბრძოლველად გახდა შესაძლებელი. ცხადი იყო, რომ სპარსეთის რომელი კუთხეც არ უნდა დაელაშქრა იმ ურიცხვი სპით, რომელიც გვერდით ედგა, მოსახლეობა წინააღმდეგობას არ გაუწევდა და ბრძოლას არ გაუმართავდა, რამეთუ საამისოდ ძალა არ შესწევდა.

დამორჩილებული, უკიდევანოდ გაშლილი ქვეყნის სამსახური მთლად დაავიწყდა. სიხარბემ სძლია, მხოლოდ და მხოლოდ ქონების სახვეჭად თბილისში უსაქმოდ დადგა 132 დღე, რამაც მოსახლეობა ააფორიაქა და ლაშქარი აღაშფოთა. თავდასხმისა და ბრძოლის ნომენტი ხელაღან გაუშვა. ძღვევამოსილ სიფაჰთა გამბედაობის ძალას ზიანი მიაყენა და შეასუსტა. განსაკუთრებით ზედმეტი იყო ამ რამდენიმე წლის წინ ამა სოფლის მცხოვრებთათვის კეთილისმყოფელი მათი უდიდებულესობის, დიდებით მოსილი ფადიშაჰის, ძლიერი ისქანდერის ეგოდენ უავგუსტოესი ნებით მისთვის ვეზირობის ხელახლა ბოძება.

როგორც აღრე იყო კალმით დაწერილი, ყარსის ბეგლარბეგს მუსტაფა ფაშას ტრაპიზონის ემალეთი შეუერთეს და ვეზირობა უბოძეს. ოღონდ, ვიდრე დაიწყებდა მოსკოვის მეფის ქვეყანაში მყოფ კაჟი ქეთხუდასთან მოლაპარაკებას, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, სპარსეთის მფლობელობისაგან უნდა გამოეხსნა და გაეთავისუფლებინა ხაზართა ზღვის¹⁰⁷ პირას მდებარე ბაქოს ციხე. მისი აღება და დაპყრობა მაღალი სამეფოსათვის ყოველმხრივ მნიშვნელოვანი და სასარგებლო იყო. მის აღმატებულებას მუსტაფა ფაშას ვეზირობა ებოძა მხოლოდ და მხოლოდ ამ საქმის დასავვირგვინებლად. ხსენებული ვეზირი მოლაპარაკების დასაწყებად განსაზღვრული 90 დღის ვადით იმ მხარეში გამგზავრებას ჩქარობდა. ხსენებულ მეფეზე გამარჯვებას ცდილობდა და მის ასაღებად და დასაპყრობად რამდენადაც შეეძლო, გაისარჯა. თუმცა თვითონ მას და ხსენებულ სერასქერს მაღალი და წმინდა ასაფისაგან მოწერილი ვრცელი და დაწერილებითი ქაღალდით ეცნობა, რომ აღნიშნული მეფის გამარჯვების გამო მისი

ზრუნვა [ბაქოს] აღებასა და დაპყრობაზე ყველა შემთხვევაში განწირულია, მისმა აღმატებულებამ მუსტაფა ფაშამ საქმისათვის საჭირო სიჩქარე და სისწრაფე გამოიჩინა, თუ ამ ხელსაყრელ შემთხვევას დავკარგავთ, ეჭვი არ არის, რომ ქვეყნის მპყრობელი ფაღიშაჰისაგან დამსახურებულ საყვედურსა და სასჯელს მივიღებთ, რადგანაც ნებართვის მსურველებიც ამოქმედდებიანო. 45 დღის განმავლობაში უწევდნენ მის აღმატებულებას, ზემოხსენებულ ვეზირს წინააღმდეგობას და უშლიდნენ ხელს. თათბირში დრო გაიყვანეს, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მოსკოვის მეფე დაეუფლა ხსენებულ ციხეს.

რადგან დაქინებით მოითხოვეს მისი (სილაჰდარ იბრაჰიმ ფაშას. —ც. ა.) ყოველმხრივ ჩამოქვეითება, დიარბექირის ვალი, მათი აღმატებულება, ვეზირი არიფი აჰმედ ფაშა სერასქერობით გააპატიონეს და განაღდეს. სპასალარობის სიგელი ქუჩუქ მირახორ¹⁰⁸ ჰუღან ფაშა ზადე მუსტაფა ბეგის ხელით გაიგზავნა.

სირასქერ იბრაჰიმ ფაშას წასვლა ქალაქ ბანჯასა და შკან დაბრუნება

თბილისის მხარის სერასქერი, არზრუმის ვალი, სილაჰდარი იბრაჰიმ ფაშა, ყარსის ბეგლარბეგ ყარა მუსტაფა ფაშასა, ჩილდირის ვალი ისჰაკ ფაშასა და სხვა მასთან მყოფი ასქერების თანხლებით თბილისიდან წამოვიდა და განჯისაკენ მოაბრუნა სადავე. ხსენებული თვის მეცხრე დღეს¹⁰⁹, განჯის ახლოს გარეწარ ყიზილბაშებთან ბრძოლისა და შეტაკების შემდეგ, სულთან სელიმად სახელდებული მადლობის მიდამოებში გაშალეს კარავი. მეორე დღეს, დილით ძლევანოსილი ლაშქარი თავს დაესხა, ლომისებური სიამამაცით შეუტია და უშიშრად და უზრუნველად მიაღწია ქალაქში ფართლით მოვაჭრეებამდე. მათი ხელში ჩაგდებით დიდად გაიხარა და გულის საწადელა აისრულა. ამასობაში ჯოხის გარეგნობის ერთმა წყეულმა უსჯულომ მაღალი ბანიდან იწყო ყვირილი — მაჰმად-ყული-ხანის ლაშქარი მოულოდნელად თავს დაგვესხა და დავგარბიო — შევლას ითხოვდა¹¹⁰. ეს გახდა მიზეზი ალაფობასა და ნადავლის მოხვეჭაში გართული ჯარის შეკრთომისა და შიშით შეპყრობისა; რადგანაც ლაშქრის სიმხნევის ძალა შესუსტდა და შემცირდა, თოფები დაყარეს. სერასქერი, რომელმაც დაინახა, რომ ჯარისაკენ ნიაღვარივით წამოვიდნენ, ხსენებული ადგილიდან დაიძრა და ათასი გაჭირვებით ლაშქარი კვლავ

ქალაქს გაგზავნა, ნაღველი გადარჩენილი თოფების შეკრება იყო. მეორე დღეს, როცა სომხური უბნის ასაღებად გაემართა, იქ სომეხთა ტომი დაუხვდა შეწყნარების არზით. 17 დღის განმავლობაში ხან თათბირობდნენ და კამათობდნენ, ხანაც ებრძოდნენ და ეომებოდნენ ერთურთს¹¹¹. უბედურმა სპარსელებმა ტყუილი სიტყვები მოლაპარაკების დასრულების შესახებ დაიჭერეს და ხელსაყრელი მომენტა დაკარგეს. ბოლოს საქმის თაოსნები ლაშქარს შეუთანხმდნენ და იმ დღეს, როცა გადაწყვეტილი იყო იერიშის მიტანა, გათენებისას ქალაქის წარჩინებული მოსახლეობიდან რამდენიმე პირი ხიდის თავთან მოვიდა და ზემოხსენებული ვეზირის კაცებთან მოლაპარაკება დაიწყო. რადგანაც ზემოხსენებულის ადგილზე სერასქერად დანიშნულმა მისმა აღმატებულებამ, ვეზირმა აჰმედ ფაშამ განჯის ვილაფეთი მაჰმად-ყული-ხანს გადასცა, იგი მოვიდა. როცა [იბრაჰიმ ფაშას] აცნობეს, რომ მაჰმად-ყული-ხანი გამგებლად დასვეს, განჯიდან თბილისისაკენ მოაბრუნა სადავე, დამორჩილებულ და დაქვემდებარებულ სომეხთა ტომიდან 3000 რეაა¹¹² წამოიყვანა და თბილისში დაასახლა¹¹³.

ვეზირის, სილაჰდარ იბრაჰიმ ფაშას ბარდაცვალება

ვეზირი, სილაჰდარი იბრაჰიმ ფაშა, რომელსაც არფალიკის¹¹⁴ სახით იჩელის¹¹⁵ სანჯაყი ებოძა, თბილისიდან არზრუმისაკენ გაემართა¹¹⁶. რადგანაც ხსენებული ვილაფეთიდან მისი განთავისუფლების ამბავი მოვიდა, ამიტომ რამდენიმე დღე შეჩერდა ერთ სოფელში, რომელიც ქალაქამდე ორი საათის სავალ გზაზე მდებარეობდა. არასასურველი ვითარების შექმნისათვის გაკიცხვის შიშმა დააურვა და შეაჭმუნა. დარდმა შეიპყრო და ნაღველი დაეუფლა, რეზიფ-ულ-ახირეს თვის შუა რიცხვებში¹¹⁷ მიიცივალა და ცხედარი მისი არზრუმში გადაასვენეს. მისი სამუდამოდ დაღუპების ამბავი ჭუმად-ალ-ევეყელის დასაწყისში¹¹⁸ მოვიდა.

ზემოხსენებული ვეზირი აზამ ვეზირის, ჰუსეინ ფაშას დიდებული პირმშო იყო. ჭაბუკობის წლები უავგუსტოეს სასახლეში გაატარა, რამაც გააძლიერა და განადიდა. ხაზინის ქეთხუდობის ეპისოპოსოზილი სიმდიდრის წყალობით სახელი გაითქვა. ქვეყნის მფარ-

ველი ფადიშაჰის ტახტზე ასვლისას და მისი სულთნობის დროს სი-
ლაჰდარაღად გადაიყვანეს. ამგვარად მასზე ქვეყნის მპყრობელის მე-
ფური წყალობა გამოვლინდა. შემდეგ კი მისი ბედის ვარსკვლავი ჩა-
ესვენა. რადგანაც მისი ბედნიერების, სიხარულისა და პატივისცემის
დასრულების მიზეზი გახდა სასულთნოსათვის შეუფერებელი ზოგა
მოქმედება, იმ მაღალი, საპატიო ადგილიდან უწყალოდ გაათავისუფ-
ლეს. მოთქმითა და ტირილით, დღედაღამ კვნესითა და გოდებით
კუთხე-კუთხე დაეხეტებოდა.

როგორც კი მისი აღმატებულება კოლაელი აჰმედ ფაშა სადრ
აზამად დანიშნეს, დაჟინებით ითხოვა და იმუდარა ზემოხსენებულს-
თვის შეცოდების პატიება. ვეზირობასთან ერთად შეპრიზორის ემა-
ლეთის ბოძებასა და წყალობაზე შუამდგომლობაც იღო თავს. სამ-
ყაროს გამგებელმა, ქვეყნის მპყრობელმა მოწყალე ხელმწიფემ ხსე-
ნებული ემალეთით გააბედნიერა იგი. შემდეგ კი ალექოს, დაარბე-
ქირის, არზრუმის, ჰანიეს და აღრიბოზის მსგავსი ბევრი ვილაჟეთისა
და ემალეთის ვალი გახდა.

მისი უდიდებულესობის, სამოთხის მეუფის, აწ გარდაცვლილი
სულთან მუსტაფა-ხანის ასულის, მისი უდიდებულესობის, ძვირფასი
ქვებით მოჭედული სარტყლით დამშვენებული ემინე ხანუმის¹¹⁹ ნდო-
ბა მოიპოვა. დიდად პატივცემული და მაღალჩინოვანი იყო.

პოეტებთან და მწერლებთან საუბრობდა უებრო გამჭრიახობი-
თა და გონებამახვილობით, არაჩვეულებრივი სიბოთით; მეცნიერებს
აჯადოებდა ენამოსწრებულობით. იყო გულუხვი და ხელგაშლილი
შეგობარი, შესანიშნავი ბუნების განთქმული მეცნიერი, განათლებუ-
ლი მუსლიმი და მწიგნობრობაში დახელოვნებული წარჩინებული.

ტრაპიზონის ვილაჟეთის ბოძება რეჯაზ ფაშასათვის და ვეზირობის
წყალობა ჩილდირის ვალის ისაკ ფაშასათვის

მისი აღმატებულება ვეზირი რეჯებ ფაშა თბილისის ვილაჟეთს
ფლობდა მისი დაცვის პირობით. იმისათვის, რომ როგორც საჭიროა
დამტკბარიყო ცხოვრებით და ხსენებული ქვეყნის წესრიგში მოსაყ-
ვანად ძალა და ღონე ჰქონოდა, შევევალისთვის მესამე დღეს¹²⁰ დამა-
ტებით ტრაპიზონის ვილაჟეთი ებოძა და ჩაბარდა ოჯაკლიკის წესით.

ჩილდირის ვილაფეთის მფლობელ ისპაყ-ფაშას, რადგანაც იმ მიდამოების ვითარების სრულყოფილი ცოდნითა და იქ საქმეთა წარმართვით მან სახელი გაითქვა და მოიხვეჭა, ხსენებული ემალეთა დარჩა.

თბილისის დაცვის მიზნით მისდამი კეთილგანწყობილი მაღალი სასულთნოს უავგუსტოესი ბრძანებით მაღალი ვეზირის ჩინით და ერთბუნჩუკიანი¹²¹ სანჯაყბეგის პატივის მიღებით გაბრწყინდა და გაციკროვნდა.

სომხეთის მოსახლეობის დამორჩილება

თბილისის ვილაფეთზე დაქვემდებარებულ სომხეთის მხარეში მცხოვრებმა სომეხმა ტომმა მეგობრობა და მორჩილება გამოავლინა და პირდაპირ მიიღო ჭიზიას¹²² წესები. გეთხოვეს და შემოგვევედრნენ, რომ მათთვის ჰაქიმი¹²³ დაენიშნათ. ხსენებული მხარე ლივ'ად¹²⁴ იქნა ჩაწერილი და ჭიზიას გადასახადის აკრების პირობით მეფე ვახტანგის ძმის, იესე ხანის შვილი გახდა ჰაქიმი. ისლამით განდიდებულ აბდულაბეგს¹²⁵ მისი აღმატებულების, ერევნის სერასქერის, აჰმედ ფაშას არზით სანჯაყი ებოძა და მიენიჭა ოჯაკლიკის წესით.

სასიხარულო ამბავის მოსვლა თბილისის ვალის, ვეზირ რეჯაბ ფაშასაგან

თბილისის ვალი რეჯებ ფაშასთან მომჩივნები მოვიდნენ — თბილისსა და განჯას შორის მცხოვრებ ყაზახთა ტომიდან, რომლებიც ოსმალეთისადმი დაქვემდებარებისა და დამორჩილების პირობებზე იდგნენ, განჯელი ასქერები და შამშადინლოები ჩვენს მიწას მოადგნენ. ოცდაათი სოფელი ცეცხლს მისცეს, ისე მოსპეს, რომ მისგან სახელიც არ დარჩა და სიცოცხლის ნიშანწყალი გაქრა; ჩვენი საქონელი და პირუტყვი გაიტაცეს, კალო და თავთავი მოათარეშეს და გააცამტყე-

რეს; გარდა ამისა, თუ სასწრაფოდ არ დაიპირეთ თადარიგი, ეჭვი არ არის, აღჯაყალასაც მსგავსი სისასტიკით დაიპყრობენო. ხსენებულმა ვეზირმა მეწინავე ლაშქრის დასახმარებლად დაუყოვნებლივ გაგზავნა სივასისა და ჩილდირის ასქერთაგან და კარის მცველთაგან, ცხენოსან მანიჩართაგან 2500 რჩეული მეომარი, ჩორუქის¹²⁶ ვალი ალიფაშა და ქეთხუდები და ლორის ბეგი — კოჯ-ალი-ბეგი. ისინი 18 საათი შეუსვენებლივ მიაქენებდნენ [ცხენებს].

შიიტების მცირე რაზმი ურჯულთა თბილისიდან ლაშქრის მოსვლის მოლოდინის ამოა ოცნებაში იყო გართული და უდარდელად იწვა, რომ თავს დაატყდა უბედურების კოკისპირული წვიმა: ქვეითები ბრძოლის ველიდან ქედზე ავიდნენ და გაიქცნენ. მხედრიონის უმრავლესობას, რომელიც უმეტრების გამო წინააღმდეგობას უწევდა ბრძოლასა და შემოტევებს, ოსმალთა კომპლემენტისა და გურჯების დარტყმამ ცეცხლის საფლაგში განუმტკიცა ადგილი.

როგორც ტყვედ ჩავარდნილმა ყიზილბაშებმა თქვეს, ერევნის მოსახლეობა განჯას, შამშადინლუსა და მაჰმად-ყული-ხანს სთხოვდა დახმარებას. მაჰმად-ყული ხანის მიერ მოწვეული ლეკები და ქართველთა ლაშქარი აღჯაყალაში შეიყარა და ერევნის დასახმარებლად აპირებდნენ წასვლას¹²⁷. ამის შესახებ ერევნიდან განჯელებთან მოსული აქტი და ქაღალდები მაჰმად-ხანთან იპოვეს. შინაარსმა ცქმულის სისწორე დაადასტურა.

ამ დროს გორის ციხის მცველი იყო იუსუფ-ფაშა, ძე ჰასან ფაშასი. ციხის გუშაგთაგან მაჰმად-ყული-ხანად წოდებულმა უსჯულომ და ურწმუნომ სარწმუნოება შეიცვალა და ქართველ ხუცესთაგან კონსტანტინედ იწოდა. ხელისუფლის ადგილი დაიკავა და გურჯისტანის ხანის სამოსი ჩაიცვა. ერისთავებმა, თავადებმა და აზნაურებმა მორჩილება გამოუცხადეს. მასხარა ქართველები, ოთხივე მხრიდან რომ გარს ედგნენ, მასთან მივიდნენ და კავშირი შეკრეს. ყარაკალკანისა და ქსნის ერისთავები 10 000-ზე მეტი მოლაშქრით აღჯაყალაში მტკიცედ შეუერთდა ყიზილბაშ მხედრებს. ვიდრე ერევნის დასახმარებლად იზამდნენ პირს, გორის ციხის ასაღებად წამოვიდნენ. ერუშეთში მცხოვრებ სომეხთა ტომის უხუცესები მოვიდნენ — ახლა ციხე ოსმალთა ხელშია, მისი აღება და თქვენთვის ჩაბარება ჩვენს ძალებს აღემატება. ოღონდ თქვენ ომში ოსმალების მხარეზე ნუ ჩაებმებით და ამისათვის საწინდარს მოგცემთო — აღუთქვეს და ამბობენ, ჩააბარეს კიდევო ნიჭი.

ჩადგან სამი აქტი მოვიდა, ხსენებულმა ვეზირმა კარის მცველ

ყველა რაზმსა და ასქერებს მთავარსარდლად დაუნიშნა ჩილდირის ბეგლარბეგი ისპაკ-ფაშა. ალლაჰის იმედით მტრისკენ ქნეს პირი.

როცა შეიტყვეს, რომ გზააბნეული მტრის მხედრებს ასქერები განუწესეს, მდინარე მტკვარი გადალახეს და ერთი საათის სავალ გზაზე მდებარე ატენის ხეობად წოდებულ ადგილს განლაგდნენ, სწორედ იქ, სადაც შაპნავაზმა გაქცევის ჟამს შეისვენა. მთებში მხედრები დაბინავდნენ და მთის ძირას და ფერდობებზე კი — ქვეითები. გასასვლელებში, როგორც წინ, ასევე უკან, მეთოფეები ჩააყენეს. როცა მტრის ლაშქარი სახიფათო გზაზე მიდიოდა, ვეფხის მსგავსებმა მთებისკენ გასწიეს, ცხენოსნები საძულველი ლაშქრის წინააღმდეგ გაემართნენ, ავღანელი მეთოფეები და სხვა ქვეითები, ბრძოლაში გამოწრთობილი გულოვანი მხედრები მტრის ქვეითებსა და ცხენოსნებს მტკიცე კედლად აღუდგნენ. ხოცვა-ჟლეტის შემდეგ ცხენოსნებმა ისლამის ფიცხ მხედრებს ვერ გაუძლეს და, ერთურთის გაძლიერების მიზნით, ქვეითებთან შეერთება მოინდომეს, მაგრამ ავღანელმა მეთოფეებმა გზა გადაუჭრეს. იძულებული გახდნენ აღვირი მოებრუნებინათ და მთებისკენ გაქცეულიყვნენ. მაჰმადიანი მოსახლეობისათვის გამზადებული გასასვლელები (ბოლაზები.—ც. ა.) მათივე ყელსაბელი გახდა. მოედნის შუაგულში დარჩენილ ქვეითთაგან ვის ლომის ბრწყალეებიანი ხმლით შეუნგრიეს მკერდი, ვინ მტკვარში ჩაყარეს და წყალმა დაახრჩო. 3000 წყეული აღნიშნულ ბრძოლის ველზე ხმლის ხიდიდან გადაისროლეს სისხლის ხევში. ხსენებული ვეზირებისაგან ეს სასიხარულო ამბავი, რომელსაც კვალდაკვალ მოჰყვა ერევნის აღების სამახარობლო ცნობა, საფარის თვის დასაწყისში¹²⁸ მოვიდა და მთელი მორწმუნე ხალხი ტკბილმოუბარი ენით მადლობას სწირავდა და ლოცვა-კურთხევას უგზავნიდა [რეკებ ფაშას].

შენიშვნები

1. მ ი რ მ ა კ მ უ ლ შ ა ჰ ი (1717—1725) ყანდაარის ქალანთარისა და დიდვაქრის მირვეისის ძე. ავღანელებმა მირ მაჰმუდ შაჰის ხელმძღვანელობით 1722 წლის მარტში დაამარცხეს სეფიანთა ლაშქარი და ალყა შემოარტყეს ისპაჰანს, რომელიც იმავე წლის ოქტომბრის თვეში დანებდა მათ. გამარჯვებულმა ავღანელებმა სეფიანთა სამეფო ტახტი დაამხეს, შაჰ ჰუსეინი დაატყვევეს და მოკლეს. სამეფო გვირგვინი მირ მაჰმუდ შაჰს გადაეცა. ამრიგად, ირანზე ავღანელები კაბატონდნენ. იხ. Н. В. Пигулевская, А. Ю. Якубовский, И. П. Петрушевский, Л. В. Стоева, А. М. Беленицкий, История Ирана с древнейших времен до конца XVIII века, Ленинград, 1958, გვ. 312—313; შდრ. — „ამავ ქორონიკონს (უი), თვესა ოქტომბერსა ი, აილო ისპაანი მამუდ, დაიპყრო ყაენი შაჰ სულთან უსეინ და საქონელი, ყოფა მისი, ცხოვრება მისი. შევიდა, დაჯდა ყეენად, დაამწყვდია ყეენი ერთსა სახლსა შინა და იავარ ჰყო ცხოვრება მათი“. ს. ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა, თბ., 1913, გვ. 34.

2. 1722 წლის 13 ოქტომბერს რეზიდენტი რუსეთში ატყობინებდა, რომ არზრუმის ფაშამ მიიღო ბრძანება საქართველოში შეიჭრას 50 000-იანი ლაშქრით და დაიმორჩილოს ვახტანგ VI, შემდეგ 20 000-იანი ჯარით დალაშქროს დაღესტანი, რათა რუსეთს გადაუჭრას სამხრეთისკენ გზა. იხ. АВПР Ф. Сношения России с Турцией, 1722, д. 16, იქვე, 1723, д. 5.

3. მ ა ჰ მ ა დ ყ უ ლ ი - ხ ა ნ ი — ერეკლე I-ის ძე, კახთა მეფე კონსტანტინე. შდრ. Ныне кахецкой, Магамет-Кули-Хан, которой был в Генже ханом по милитинский имя ему Константин. В. К. Восканян, В. А. Дилоян, Политика России в Закавказье в 20-х годах XVIII столетия, Историко-филологичес-

კიი ჟურნალ АН Арм. ССР. № 2 (25), Ереван, 1964, стр. 255.
ვრცლად მაჰმად ყული-ხანი II კონსტანტინეს შესახებ იხ. საქართვე-
ლოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 419—420; 441
— 444.

4. ვახტანგ VI.

5. ასეთსავე ცნობას გვაწვდის ქართული ისტორიული წყაროები:
„ხოლო ოსმალნი ჩამოვიდნენ ივნისში და დადგნენ ყურყუთას. იხი-
ლა მაჰმად-ყულიხან, რამეთუ ვერ ავნებს, მიეგება და მიართვა კლი-
ტენი ციხე-ქალაქისანი“, ვ ა ხ უ შ ტ ი, ცხოვრება და ქმნულება მე-
ფეთა ქართლისათა; ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის
გამოცემა, თბ., 1973, გვ. 504. „რა ჰსცნა მაჰმად ყულიხან მოსულა
ურუმთა და მიგებება ბაქარისა, ღონე აღარ იქნებოდა, წავიდა ქალა-
ქიდამ, მიეგება სარასკარს სონღალუხს, მიართვა კლიტენი ციხისანი“,
ს. ჩ ხ ე ი ძ ე, ცხოვრება..., გვ. 37.

6. ს უ ნ ი ტ ე ბ ი — ორთოდოქსალური, მართლმადიდებლური
ისლამის მიმდევრები.

7. შდრ. აქვე, გვ. 48; „გამოხდა მცირედნი დღენი და გაიპარა ციხი-
დამ მაჰმად-ყული ხან, გავიდა კახეთს“, ს. ჩ ხ ე ი ძ ე, ცხოვრება..., გვ. 37;
აგრეთვე, Кахетинской хан был под караулом и из закараулу
ушел к себе в Кахеты, по которого Эрзерумский паша посл-
лал двух пашей и при них пятьсот человек, а между тем вс-
лел им в Кахетах осмотреть мест для строения крепости, что
уведав кахетинской хан, собрався со своими и с лезгинцами
напал на них, турков и побил с 300 человек и притом одного
пашу, а другого поймав и будто выбрил у него половину бо-
роды и отпустил его к Эрзерумскому паше, которому велел
сказать, что если он из Тифлиса не выйдет, то они с лезгин-
цами против его войну иметь будут. В. К. Восканян
В. А. Д и л и я н, დასახ. ნაშრომი, გვ. 252.

8. ჰ. უზუნჩარშილი უთითებს ჩელები ზადეს ისტორიას (შდრ.
აქვე, გვ. 47—48) და სილაჰდარ იბრაჰიმ ფაშას სერასქერობიდან
გადაყენების მიზეზად თვლის — პირველი, ვახტანგ VI-გან ქრთამის
აღებას და სანაცვლოდ ახლადგამაჰმადიანებული ბაქარის დანიშვნას
თბილისის ვალიდ, მეორე, სულთნის ფირმანის მიუხედავად, მუს-
ტაფა ფაშას არგაგზავნას შირვანში დავუდ ხანის დასახმარებლად,
რამაც თითქოს პირობადყო რუსეთის მიერ ბაქოს ციხის დაკავება.
H. U z u n ç a r ş ı l ı, Osmanlı Tarihi, C. IV, Istanbul, 1956, გვ. 178.

9. ე. ი. გარდაიცვალა.

10. ა ჰ მ ე დ ფ ა შ ა ოსმალურ წყაროებსა და თურქულ ისტო-
რიოგრაფიაში ცნობილია არიფი (მცოდნე, ბრძენი) აჰმედ ფაშას სა-

ზელით. იბრაჰიმ ფაშას ადგილზე დანიშნეს 1135 წელს ზი-ლ-ჰიჯას (=1723 წლის სექტემბერს). აჰმედ ფაშა 1715—16 წლებში დამასკოს ბეგლარბეგია, 1718 წელს ვეზირის წოდებით დაინიშნა კონიის ვილაიეთში. იყო დიარბექირის ფაშა, 1724 წლიდან ერევნის ვალი გახდა. გარდაიცვალა 1739 წ. იხ. *تريما سجل عثمانی*, ტ. I, გვ. 237 — 238; შდრ. „ბაქარიანი“:

„დიარბეგირის ფაშა, არაუის აძლევს ხალათსა.
მათ ძალი უყვეს ქართლსა და მერმე კი თბილის ქალაქსა,
ქართლი მოთხარა სულობით, არ იკლებს მის სალამათსა“.

აჰმედს ერთი წელიც არ დაუყვია თბილისში:

„წესი ყოფილა ურუმთა, მათ ფაშა გამოცვალესა,
ეს ავი რიგი სცოდნიათ, მას წლამდი არ აცალესა“.

გვ. 97, III.

11. უადგილოა ოსმალთა ავტორისგან ტერმინის „ჯანიშინი“ ხმარება. მოსალოდნელი იყო ვ ა ლ ი ა ნ ბ ე გ ლ ა რ ბ ე გ ი. აქ გურჯინზადეს სპარსულმა განათლებამ იჩინა თავი.

12. 1724 წ.

13. შ ა ჰ ნ ა ვ ა ზ ი დაარქვეს სპარსელებმა ბატონიშვილს ბაქარს: „ქორონიკონს უე, მარიამობის თვის ა, მოუვიდა ყაენისაგან ბატონიშვილსა ბაქარს საქართველოს ბატონობა, ... სახელათ სპარსთა ენითა შაჰნაოზ წოდებული ექმნა“, ს. ჩ ხ ე ი ძ ე, ცხოვრება... გვ. 31.

14. ო ჯ ა კ ლ ი კ ი — მუდმივი სამემკვიდრეო უფლებით ბოძებული სანჯაყი. მას ჩვეულებრივ იღებდნენ სასაზღვრო პროვინციების დიდგვაროვნები. ომის შემთხვევაში ოჯაკლიკის მფლობელნი ვალდებულნი იყვნენ გამოეყვანათ ლაშქარი და დაქვემდებარებოდნენ ბეგლარბეგს. ვრცლად იხ. *М. Х. Сванидзе, О юртыках и оджакликах, как об одной из форм землевладения в Османской империи (на примере Чилдырского Эялета). Первый конгресс балканских исследований, София. 1966, Сообщения Советской делегации, Москва, 1966.*

ოსმალთაგან თბილისის საბეგლარბეგოს ბაქარისათვის ბოძების ფირმანი დაცულია ლენინგრადში, სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში. ფირმანი გამოსცა აკად. ს. ქ ი ქ ი ა მ, სულთან აჰმედ III-ის ფირმანი ბაქარ ბაგრატიონს: ქართული წყაროთმცოდნეობა. თბ., 1971, ტ. III, გვ. 278—282. თბილისის ვილაიეთის საგამგებლოდ ბაქარისათვის ჩაბარების ფაქტზე საგანგებოდ არის მსჯელობა ჩელები ზადეს ისტორიაშიც. იხ. აქვე, გვ. 48.

15. ტექსტშია *قلم* 'მეწამული ზღვა', ი. ფეჩევისთან *قلم* 'კასპიის ზღვა'. იხ. ს. ჯიქია, იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1964, გვ. 38.

16. რეკეზეფაშა — წარმოშობით ალბანელია. ახალგაზრდობიდანვე ემსახურებოდა სამეფო კარს. იყო სულთნის ხაზინის ქეთხუდა. სხვადასხვა დროს იყო დიარბექირის, ვანის, სივასის, ტრაპიზონის, სირიის, ალემოს ვალი. 1724 წლის გაზაფხულზე თბილისისა და ტრაპიზონის ვალია, 1725 წლიდან სივასისა და ერევნის ვალია; დაქორწინებული იყო სულთან აჰმედ III-ის ასულზე ემინე ხანუმზე; გარდაიცვალა 1726 წელს. იხ. *ترسیه سجد عثمانی*, ტ. II, გვ. 372—373.

რეკეზეფაშა იმ საქმის მოწმედ არის დასახელებული, რომელიც გაიჩნა 1725 წლის 1 იანვარს თბილისის შარიათის სასამართლოში, იხ. ს. ჯიქია, ოსმალური იურიდიული დოკუმენტები XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართლში: აღმოსავლური ფილოლოგია, ტ. I, თბ., 1969, გვ. 174—178.

რეკეზეფაშა „თბილისის დაპყრობის წიგნის“ სტამბოლურ ნუსხაში მეორე ასაფიდაა მოხსენებული. *اصف*, არაბთა გადმოცემით, ერქვა ებრაელთა მეფის სოლომონ ბრძენის სახელოვან ვეზირს ასაფ იბნ ბერჰადას. აქედან ასაფი გახდა გონიერების სინონიმი და ბრძენი ვეზირის ეპითეტი.

ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში საკმაოდ მუქ ფერებშია რეკეზე, ანუ რაჯაფ ფაშა წარმოდგენილი:

„მოვიდა, დაჯდა ქალაქში, ღმერთმა ნუ დაამყარაო,
ვისაც რომ თეთრი შეგულა, ვინ იცის, წაართვა რაო,
ბევრი დახოცა ვაჟაკი, ცოლშვილი გაუმწარაო,
ზოგი აიკლო უწყალოდ, ზოგი გაყარა გარაო.
ულმერთო იყო წყეული, უბრალოს კაცის მკვლელია
არ შეიბრაღის მან მოკლას, იყო სისხლისა მღრელია“,

(„ზაქარიანი“, გვ. 31.)

რაჯა ფაშაი მრისხანე რომ დაჯდა ქართლში მყრობელად
ხანთქრის ვეზირი უშიში, ამაყად ჰყრობად, მფლობელად,
ვინა შეხედოს შემინდის, ვინ იყვის მისანდობელად,
სისხლი დასთხია ქართველთა, იყო სჯულისა მგმობელად.

(„შექირებანი ქართლისანი“, გვ. 236).

17. მუჰაფიზი <არაბ. *مخاض* 'მცველი', 'კომენდანტი', ვილაფეთის სამხედრო ძალების უფროსი'. იხ. Б. Недков, Османско-турска дипломатика и палеография, София, 1966, გვ. 66.

18. 1724 წლის მარტი.

19. 1724 წლის მაისი.

20. 1724 წლის მაისი.

21. გ ა რ ე კ ა რ ი — ვფიქრობთ, ა ბ ა ნ ო ს კ ა რ ი ა. შდრ. „ერთადერთი გზა, რომელიც სეიდაბადს და აბანოების უბანს ქალაქთან აკავშირებდა, შემოდინოდა ციხეში ე. წ. აბანოს კარით (20,180) წლის გეგმაზე). აბანოს კარის წინ წავკისის ხევზე გადებული იყო ხიდი. ხიდის იქით, ე. ი. სამხრეთით თბილისელთა ბაღების (სეიდაბადის) გავლით მტკვრის დინების პარალელურად მიემართებოდა“. მ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, თბ., 1965, გვ. 38—39.

22. ს ე ი დ ა ბ ა დ ი — არაბულ-სპარსული წარმომავლობის სახელია. სეიდ < არაბ. سعيد 'ბედნიერი', 'ნეტარი', 'დღეკეთილი' + აბად < სპ. آب 'დასახლებული', 'დამუშავებული', 'აყვავებული'. გურჯინადეს, ალბათ, სახელის ეტიმოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა მხედველობაში, როცა წერდა: „გავერანებული ადგილი ბედნიერ ვარსკვლავზე გაშლილი კარვებით სეიდაბადად აქცია“-ო. ვახუშტი კი შასეფისაგან სეიდთა დასახლებას უკავშირებს ამ სახელწოდებას, იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა აწინდელისა ქართლისა, გვ. 334.

ს ე ი დ ა ბ ა დ ი თბილისის უძველესი უბანია ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. დღევანდელი აბანოებისა და ბალნეოლოგიური კურორტის რაიონი. მ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 4,38—42.

23. აპმედ ფაშა და რეჯებ ფაშა.

24. 1724 წლის 27 მაისი.

25. აპმად ფაშა, იხ. აქვე, გვ. 50, 57—58.

26. ქართული ისტორიული დოკუმენტებისა და ნარატიული წყაროების ის აყ ფ ა შ ა.

27. ს ი ვ ა ს ი (ძვ. სებასტეა) მდებარეობს აღმოსავლეთ ანატოლიაში მდ. კიზილ ირმაკზე.

28. ზ უ ე მ ა < არაბ. زعمار მრ. რ. زعيم 'სამხედრო საკარგავის — ზეამეთის زعمار მფლობელი ფეოდალი'. ზეამეთის წლიური შემოსავალი შეადგენდა 20 000-დან 100 000 ახჩამდე.

